ეროვნული ბიბლიოთეკა




# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1975 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმარი



ავლიპ ზურაბაშვილი

ჟურნალი 50 წლისაა. ეს კარგად იციან დღეს ჩვენმა მკითხველებმა. მთელმა საზოგადოებრიობამ დღემდე ქალთა ჟურნალი მხოლოდ ქალებზე, მათ შრომასა და მიღწევებზე, მათ გამოსაყენებელ საკითხებზე წერდა მაგრამ ჩვენ ხომ მარტონი არა ვართ. ჩვენ ხომ გვერდში გვიდგანან მამაკაცები. ჩვენ ხომ ერთ საერთო საქმეს ვაკეთებთ! სწორედ ამიტომაც ჟურნალის ერთ გვერდზე შემოვიყვანეთ პატივსაცემი და ღვაწლმოსილი პიროვნება — მამაკაცი. ვინც ჩვენ გვეხმარება თავისი საქმით. ვინც ძალას გვაძლევს. ვინც ჩვენს ცხოვრებას ალამაზებს. ღრმა შინაარსით ავსებს.

ახალი წლიდან ჟურნალის ერთ გვერდზე დამკვიდრდება რუბრიკა „ჩვენი სტუმარი" და იქ წაიკითხავთ სხვადასხვა ჟანრის წერილებს ჩვენს სახელოვან მამაკაცებზე — ნარკვევებს, ჩანახატებს, ინტერვიუებს და საუბრებს მათთან, რეპორტაჟებს მათი სამუშაო უბნებიდან...

მაშ ასე:

დღეს ჩვენი სტუმარია ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი ავლიპ ზურაბაშვილი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ ახალ წელს!

**სახელოვანმა მეცნიერმა გულითადად მიულოცა ჟურნალის კოლექტივს, მათი სახით, ყველა ქართველ ქალს ახალი წლის დადგომა.**

1975 წელი, თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადგენილებისა, მთელ მსოფლიოში აღინიშნება როგორც ქალთა წელი (ქალთა საერთაშორისო ფედერაციის შექმნის 30 წლისთავის გამო). პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს მას, როგორც სიმბოლოს მშვიდობის, ბედნიერების, სიცოცხლის სათავისა დედამიწაზე.

ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ავტორიტეტულ ხმას უერთებს ამ საერთო ზეიმს და კეთილ სურვილებს უგზავნის პლანეტის ყველა ქალს, ქალს — მოქალაქეს, ქალს — მშრომელს, ქალს — დედას, ქალს — მეცნიერს, ქალს — აღმშენებელს, ქალს — სიცოცხლის დამამკვიდრებელს.

პატივცემული ავლიპი ესაუბრა ჟურნალის მუშაკებს, პასუხი გასცა მათ მრავალ შეკითხვაზე.

მოგვყავს ამ საუბრის მოკლე შინაარსი:

* * *

— ჩემი საუბრის მთავარ თემად მინდა შემოგთავაზოთ შრომა და მასთან დაკავშირებული ყველა ფსიქოლოგიური მომენტი.

თუ გვსურს, რაც შეიძლება შორს გადავწიოთ სიბერე, გავიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა, ხოლო, როცა სიბერე მაინც გვეწვევა, დავრჩეთ ენერგიულნი და ხალისიანნი, საჭიროა შრომა, შრომა და კვლავ შრომა! დროა უკუვაგდოთ მცდარი, მე ვიტყოდი, ბნელი აზრი, თითქოს ნაადრევ სიბერეს სწორედ შრომა იწვევდეს; სიბერე, ათეროსკლეროზი და ზოგიერთი სნეულება მხოლოდ სიზარმაცითა და ფუქსავატური ცხოვრებითაა გამოწვეული.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო შემდეგ ფსიქოლოგიურ მომენტებზე:

ცხოველი მუშაობს, ადამიანი კი შრომობს.

შრომის პირველ ეტაპად ჩაითვლება შეგნება იმისა, რომ ის, რასაც ადამიანი ქმნის, მარტო მას კი არა, საზოგადოებასაც ეკუთვნის.

მეორე ეტაპი: შრომა ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა, რასაც ნიადაგ თან უნდა სდევდეს შინაგანი სინდისის ხმა.

მესამე ეტაპი: შრომას უნდა ახლდეს დადებითი განცდა (იგი ადამიანს უდიდეს სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს). ასეთი შრომა, გარდა იმისა, რომ ამრავლებს საზოგადოებრივ დოვლათსა და ბარაქას, ამაღლებს ადამიანს სულიერად, ამაღლებს საკუთარ თვალში, ამაღლებს გარშემომყოფებისა და შვილების თვალში, დაბოლოს, არ იწვევს ფიზიკურ-ფსიქიურ გადაღლას; პირიქით, მატებს მხნეობას, ჯანსა და ახალგაზრდობას.

მანდილოსანთა შრომას, რასაკვირველია, თავისი სპეციფიკა და განმასხვავებელი ნიშნებიც გააჩნია, მამაკაცებისას თავისი. პრინციპი კი ძირითადად ერთია; ეს ჯერ კიდევ XII საუკუნეში ბრძანა დიდმა შოთამ, ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადიაო. ქალს თავისი ფსიქოლოგიური მოდუსი გააჩნია, მამაკაცს — თავისი. შოთას აქ მხედველობაში აქვს პიროვნების დონე, წარმოდგენა შრომაზე, მოვალეობაზე, სინდისზე, მორალზე, სიყვარულზე, ყოველივე იმაზე, რასაც პიროვნულ თვისებებს უწოდებენ.

რა შეედრება შრომის იმ უმშვენიერეს ფორმას, რასაც დედის შრომა ჰქვია, როცა დედა კარგ შვილს უზრდის სამშობლოს! ქალია ყველა მშვენიერი ტრადიციის განმსახველი, ამ სიტყვის მთელი გაგებით. აქვე მინდა ერთი რამ შევნიშნო: ამ ბოლო დროს პრესაში ხშირად შევხვდებით აზრს — „მავნე ტრადიციის“ შესახებ. მე არ ვიზიარებ ამას. ტრადიციას ხალხი ქმნის, ხოლო რასაც ხალხი ქმნის, ის სიბრძნეა, რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ვითომ ტრადიციებს — ქეიფებს, ღრეობას და სხვა, ესაა მხოლოდ ცუდი ჩვევა და არა ტრადიცია.

აგერ 50 წელზე მეტია ვავითარებ აზრს, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელია არა მარტო ინტელექტუალური სიმდიდრე — „ჰომო საპიენ“, რაც ბრძენ ადამიანს ნიშნავს, არამედ მისი მორალური საუნჯეც. მე მინდა იყოს ადამიანი მორალური ინდივიდი — „ჰომო მორალის“. „ჰომო მორალის“ უფრო დიდ რამეს იტევს, ვიდრე „ჰომო საპიენ“ — პირველია ადამიანობა, მეორე კი მისი სპეციალობა. რაც შეეხება „ჰომო ნოვუსს“ — ახალ ადამიანს, მასში ყველაფერი უნდა იყოს წარმოდგენილი: სიბრძნე, სილამაზე, თავისუფლება, სინდისი, სიმართლე. აი, რა განსაზღვრავს ადამიანის მიზანსა და დანიშნულებას. ყოველივე ეს ერთურთთან უნდა იყოს მტკიცედ დაკავშირებული. ვიზიარებ ტურგენევის აზრს, რომ სიმართლე ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას, ჭეშმარიტებას შეიძლება ემსახუროს ყველა, სიმართლეს კი მხოლოდ ის, ვისაც თბილი სული და სუფთა ხელები აქვს.

„ადამიანის ბედნიერება ესაა ფიზიკურ-ფსიქიკურ ძალთა სისავსე შრომაში“, ამბობდა დიდი ტოლსტოი. ი. ჭავჭავაძე კი ამ აზრს „კაცურ კაცობაში“ ათავსებდა.

ადამიანი იმით კი არ უნდა ფასდებოდეს, თუ რამდენს იღებს, არამედ იმით, რას აძლევს იგი საზოგადოებას.

მე ახლახან ჩამოვედი ფსიქოლოგთა IV მსოფლიო სიმპოზიუმიდან, სადაც ხშირად იმეორებდნენ „ჰომო მორალის“ პრობლემას.

ახლა, როცა მეცნიერება აგრერიგად წავიდა წინ, უფრო და უფრო მეტი პრობლემა ჩნდება ფსიქოლოგების წინაშე, და მეცნიერების ძირითადი მოწოდებაც ხომ ამაშია.

ხშირად გვეკითხებიან და აი, დღეს თქვენც მკითხეთ, რატომ გართულდაო სულიერი პროცესები მე-20 საუკუნეში. უპირველეს ყოვლისა ამის მიზეზია დინამიკა, რაც ჩვენი ტექნიკის საუკუნეს მოჰყვა თან. იყო დრო, როცა მოსკოვიდან ლენინგრადამდე მანძილის დაფარვას 6 დღე სჭირდებოდა. ახლა კი ამისათვის რაღაც წუთები უნდება საჰაერო ლაინერებს. აი რა არის დინამიკა!

მეორე მიზეზია ინფორმაციის ზღვა, რომლის გადახარშვასა და ათვისებას ცოტა სულიერი ძალა როდი სჭირდება. ყოველივე ეს იწვევს აქსელერაციას — ბავშვის ზრდა-განვითარების დაჩქარებას, რაც თავის მხრივ ზოგჯერ ერთგვარ ფსიქიკურ გადახრებსაც კი იწვევს.

მესამე — ესაა სოციალურ-ფსიქოლოგიური ძვრები, რომელთა შორის ყველაზე დიდი ადგილი მეორე მსოფლიო ომს უნდა მივანიჭოთ.

მიზეზები სულიერი პროცესების გამწვავებისა ბევრია, რომელთა ახსნასაც აქ ვერ შევძლებდით...

რაშია მერე ხსნა? — მეკითხებით თქვენ — ძირითადად შეგნებულ, შემოქმედებით, სიხარულის მომგვრელ შრომაში.

წინა პლანზე უნდა იქნეს წამოწეული ადამიანთა მორალური მხარე, ჩვენი ყოფიდან უნდა განიდევნოს მავნე ჩვეულებები. ცივილიზაცია კი არ აგვარებს ადამიანს, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არამედ ის ცუდი ჩვევა, რაც მას მოჰყვება, და რასაც უნდა ვებრძოლოთ.

გამრუდებული პიროვნების გასწორება უფრო ძნელია, ვიდრე გამრუდებული გრანიტისა.

შრომა, პატიოსნება, ჰუმანიზმი, სიყვარული — აი რა გვამაღლებს და რა გვაჯანსაღებს!

საუბარი ჩაწერა ნ. ცაგარეიშვილმა.

12745



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხუთწლედის გმირი

# ახალ წელს მოგილოცავთ ქართული ჩაით!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ციალა ნოდიამ სამ წელიწადში შეასრულა მეცხრე ხუთწლედი და 38 ტონა „მწვანე ოქრო“ ჩააბარა ქვეყანას. გასულ წელს იგი 290-300 კილოგრამ ჩაის კრეფდა დღეში და 1 სექტემბრისათვის 14 ტონა იყო მისი შრომითი მაჩვენებელი.

* * *

მეცხრე ხუთწლედი ბედნიერი ფეხით შევიდა ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს მეჩაიის — ციალა ნოდიას ოჯახში.

მესამე წელია სიმინდის სარეკორდო მოსავალს იღებს ვაჟა, ციალას მეუღლე. 2-2 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფენ დოდო და ჯანიკო, მათმა დედამ ციალამ კი სამ წელიწადში შეასრულა პირადი ხუთწლედი, 38 ტონა „მწვანე ოქრო“ ჩააბარა სახელმწიფოს.

* * *

წვიმდა იმ დღეს, გავლა ჭირდა ტალახიან შუკებში.

არა და არ დაიშალა ციალამ, ჩემი პლანტაცია უნდა ვნახოთო.

ნაბიჯის გადადგმას აძნელებდა წითელი აყალო.

წინ ციალა მიგვიძღოდა, გზის გადაღმა ეგულებოდა მრავალჯერ გადაკრეფილი, მაგრამ ნორჩი დუყებით ატალღებული თავისი ნაკვეთი.

მივუყვებოდით ვიწრო ბილიკს, კიდევ რამდენიმე ნაბიჯიც — და...

მივხვდით, სადაც იწყებოდა ციალას პლანტაცია, ხელი დავადეთ პირველ ბუჩქს.

თანხმობის ნიშნად ციალამ გაიღიმა.

რა შესძლებია თავდადებას! ერთსადაიმავე ფერდობზე, ერთიმეორის გვერდით სხვადასხვაგვარად გაუხარიათ ჩაის ბუჩქებს, ერთნი ნორმალურ მოსავლიანებად ითვლებიან, მეორენი — რეკორდულად...

წვიმს კოკისპირულად, ციალა არად აგდებს თავსხმას, ბოლომდე მიუყვება ფერდობს. საწვიმარი ქოლგებივით ჩარიგებულან ამ თავსხმაში გაზულუქებული ბუჩქები. წვიმის წვეთები არხევენ ყურცქვიტა დუყებს. ხვალიდან მათი გადაკრეფა შეიძლება, ამიტომაც აკვირდება ასე გულმოდგინედ.

1973 წელს მოკრეფილი 12.607 კილოგრამი „მწვანე ოქროსათვის“ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ [illegible]-ნიას პრიზი შეემატა ციალას ჯილდოებს.

ნათქვამია: სატაროსო მზე დილიდანვე იცნობაო, თებერვალშივე დაეტყო ციალას ნაკვეთს წინა წლებთან შედარებით უკეთესობა.

მარტო თავის თავს არ დაუჯერებდა ციალა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შოთა დემურიას რომ არ შეენიშნა ეს მაშინ.

თებერვლის შუა რიცხვებისათვის ყოველი მხრიდან შეკრეჭილ-შეკვეცილი ბუჩქები შემართულნი ელოდებოდნენ მზის სხივთა მარულას...

თავმჯდომარემ ახალი წარმატებანი უწინასწარმეტყველა ციალას, ციალაც გრძნობდა ამას და 14 ტონის მოკრეფა ივალდებულა 1974 წელს.

ბევრი იფიქრა, სანამ ეს დაპირება მის ბაგეებს დასცდებოდა, მერე თქვა მტკიცედ, უყოყმანოდ.

— ივნისი ჭირვეულია, იქნებ გვალვები დაიჭიროს, მოსწყურდეს მიწას, ძველებურად ვერ ამოუყელყელავდნენ დუყები, მაშინ? — უთხრეს ციალას.

არა!.. გვალვებისა არასოდეს შინებია ციალა ნოდიას, არც წვიმებს უკრთის. გვალვებისას რწყავს პლანტაციას, ხოლო წვიმისას...

კარგა ხანია იგემა წვიმიანში კრეფის ჭაშნიკი.

მაისში ახალი სეზონის შრომითს ვახტზე დადგა მთელი ოჯახი.

ციალას ქალიშვილი დოდო ნოდია სტუდენტია. იგი სესიებისათვის ემზადებოდა მაშინ, დედას კი წერილობით პირდებოდა, ჩემს ხუთწლედს წელს შევასრულებო. დაპირდა და შესძლო კიდეც.

მეცხრეკლასელმა ჯანიკომ კი 2 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა მოახერხა, არც სწავლაში ემდურის დედა თავის ბიჭს.

ეს კია, თავის ნაკვეთში არცერთი არ გაუჭაჭანებია, იქ თითოეულ ბუჩქსა და დუყს თავად უფრთხილდება.

ის კი არა-და, ავად გახდა ამ ზამთარში, პლანტაციაში კი სასუქების შეტანის დრო იყო.

ვაჟამ გადაწყვიტა წაშველებოდა მეუღლეს.

არ ინდომა ციალამ, თავი მოიკლა.

— სწორედ მოვიქეცი, — ამბობს იგი, — ვთქვათ-და, ყოველ ძირს ვერ მოხვდეს სასუქის დოზა, ხომ გამიფუჭდა მოლოდინი... ჩემს ნაკვეთს ვერავის ვანდობ, ვაჟამ თავის სიმინდს მიხედოს!...

იქნებ გადაჭარბებული გეჩვენოთ ციალა ნოდიას ეს უნდობლობა და მხოლოდ საკუთარი მარჯვენის რწმენა, მაგრამ ვინც მას იცნობს, ან მის პლანტაციას ერთხელ მაინც ნახავს, უსათუოდ მიხვდება, რომ იგი მართალია. მისი წარმატებების საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ შრომის სიყვარულშია.

გოგოლა მზარელუა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ინტერვიუ

ახალი საცხოვრებელი სახლი ავჭალის გზატკეცილზე

# თბილისი, მილიონთა ქალაქი 1975 წელს

სასიხარულო ფაქტია, რომ ჩვენ, თბილისელები დღეს უკვე მილიონზე მეტნი ვართ.

სწორედ ამ სიხარულს მოჰყვა ის, რომ შარშან, წლის ბოლოს, თბილისელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: დამთავრდა ცენტრალური უნივერმაღის მშენებლობა 450 სავაჭრო ადგილით რუსთაველის პროსპექტზე და ექსპლოატაციაში შევიდა ჟინვალის მშენებლობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქალაქს დამატებით მიიღოს წამში 18 კბ მეტრი სასმელი წყალი.

**გვაინტერესებს, რას მოუტანს ახალი, 1975 წელი თბილისელებს, რა სახით წარიმართება ქალაქის მშენებლობა და განვითარება ამ ერთ წელიწადში?** — ამ კითხვით მივმართეთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს კარლო მეგრელიშვილს.

— როცა ქალაქის ზრდა-განვითარებაზე ვსაუბრობთ, საბინაო მშენებლობით უნდა დავიწყოთ. წელს ქალაქის მშენებლობისათვის მხოლოდ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ კაპიტალური დაბანდებით 100 მილიონი მანეთია გათვალისწინებული. აქედან 50 მილიონზე მეტი საბინაო მშენებლობას მოხმარდება.

საბინაო მშენებლობა 1975 წელს ძირითადად ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაიშლება და იგი გლდანის საცხოვრებელ მასივში ახალი ტერიტორიების ათვისების ხარჯზე განვითარდება. აღნიშნულ მასივში განსაკუთრებით ფართოდ არის გათვალისწინებული ბავშვთა დაწესებულებების — სასკოლო შენობებისა და ბაგა-ბაღების მშენებლობა.

გასულ პერიოდთან შედარებით მშენებლობა კომპლექსურად წარიმართება, რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობას ჰქონდეს მომსახურების სფეროს სხვადასხვა ობიექტები — საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვის, სავაჭრო, ასევე ბავშვთა მოედნები, სპორ-



გლდანის მასივი. ახალი მშენებლობა.

ტული მოედნები და სხვა.

საბინაო მშენებლობა ნაწილობრივ ვარკეთილის მასივშიც განხორციელდება. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში კი იგი იმ ტერიტორიებს შეეხება, სადაც ასაღებია ამორტიზირებული, ბარაკის ტიპის და ავარიული სახლები. ამ სამუშაოებისათვის 1975-1980 წლებია გათვალისწინებული.

ყველა ქართველისათვის სასიხარულო ფაქტი იქნება, რომ წელს ექსპლოატაციაში შევა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა, ხოლო 1976 წელს თბილისელი მაყურებელი მიიღებს გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის ახალ შენობას.

1975 წელს თბილისელები ჩაიბარებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალ ობიექტებს 26 კომისრის, საქარხნო და პირველი მაისის (დიღმის საცხოვრებელ მასივში) რაიონებში.

მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით უკეთ მომარაგების მიზნით 1975 წელს გლდანის მასივში დაიწყება ხილ-ბოსტნეულის უნივერსალური მაღაზიის მშენებლობა, ხოლო თემქის საცხოვრებელ მასივში დამთავრდება სავაჭრო ცენტრის მშენებლობა თვითმომსახურების ავტომატიზებული უნივერსალური მაღაზიით. 1975 წლისათვის ხილბოსტნეულის მაღაზიების აშენება გათვალისწინებულია აგრეთვე პირველი მაისის რაიონში (დიღმის საცხოვრებელი მასივი), საქარხნო რაიონში, ვარკეთილის საცხოვრებელ მასივში, 26 კომისრის რაიონში — კახეთის გზატკეცილის მარცხნივ მიმდებარე ტერიტორიაზე, ოქტომბრის რაიონში — საბჭოს მოედანზე, ორჯონიკიძის რაიონში — ვაჟა-ფშაველას პროსპექტის I და II კვარტალებს შორის.

მოგეხსენებათ, როგორ გადატვირთულია თბილისი ტრანსპორტით, როგორ ფერხდება მისი მოძრაობა დღითიდღე. სწორედ ამიტომ ქალაქში მიმდინარეობს გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია. იგი ითვალისწინებს სატრანსპორტო კვანძის მკვეთრ განტვირთვას და გაუმჯობესებული მოძრაობის პირობების შექმნას პიკის საათებში. მომავალ წელს დამთავრდება დიდუბის ხიდის მშენებლობა, რომელიც წელს მთელი მასშტაბით გაიშლება. იგი უმოკლესი სატრანსპორტო გზით დააკავშირებს ერთმანეთს ორჯონიკიძის და პირველი მაისის რაიონებს. გათვალისწინებულია 1975 წელს დამთავრდეს ავტოსტრადის მშენებლობა ქალაქიდან აეროპორტის მიმართულებით. მეათე ხუთწლედის დასაწყისში ექსპლოატაციაში შევა მეტეხის გვირაბი, რომელიც საგრძნობლად განტვირთავს ქალაქის ცენტრალურ ნაწილს სატრანზიტო ტრანსპორტისაგან. გვირაბის გამოყენებით ტრანსპორტი ქალაქის ცენტრს გვერდს აუვლის და მტკვრის მარცხენა ნაპირზე იმოძრავებს.

დაწყებულია და 1977 წელს დამთავრდება მეტროპოლიტენის მშენებლობა ვაგზლიდან დელისამდე.

ქალაქის მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით წელს ფონიჭალაში საძირკველი ჩაეყრება ნაგვის საწვავ ქარხანას. 1975 წელს ექსპლოატაციაში შევა ქალაქის ფარგლებიდან ფეკალური წყლების გამყვანი კოლექტორი, რომელიც თავიდან აგვაშორებს მდინარე მტკვრის გაბინძურებას თბილისის ფარგლებში.

სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი გამწვანების მხრივ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის. ამ ჩამორჩენის გამოსწორება დაწყებულია და მიმდინარეობს. მომავალში თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე გათვალისწინებულია ხიდის აგება დიმიტროვის სახელობის ქარხანასთან, ხოლო მტკვრის გასწვრივ გაშენდება ახალგაზრდობის პარკი, რომელიც საერთო-სახალხო მშენებლობად გამოცხადდება და რომლის მოწყობაშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის მსხვილი საწარმო-დაწესებულებები საზოგადოებრივ საწყისებზე.

ქალაქის გალამაზების მიზნით, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და დაავალა ქალაქის მთავარ არქიტექტორსა და საპროექტო ინსტიტუტს — „თბილქალაქპროექტს", დაამუშაონ ქალაქის მცირე არქიტექტურული ფორმებისა და მწვანე ნარგავების, ბაღ-სკვერების შემდგომი რეკონსტრუქცია და სასწავლო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ მასივებში მცირე საცურაო აუზების მშენებლობა.

იმ მიზნით, რომ თბილისმა, ახალი მაგისტრალებისა და თანამედროვე ტიპის მთელი რიგი ახალი რაიონების შექმნასთან ერთად, შეინარჩუნოს ცალკეულ უბნებში თავისი პირვანდელი სახე, ქალაქის საპროექტო ორგანიზაციებს და მთავარ არქიტექტორს დავალებული აქვთ ძველი თბილისის რეგენერაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომლის პრაქტიკული განხორციელება უახლოეს ხანში დაიწყება.

ასეთია ძირითადად ჩვენი უძველესი დედაქალაქის, ამჟამად უკვე მილიონიანი ქალაქის ზრდისა და განვითარების ერთი წლის პერსპექტივა.

**საუბარი ჩაიწერა ლ. კაკაბაძემ.**

## ლაპარაკობს XIV პლენუმის მონაწილე, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მქსოველი ციალა კვირიკაშვილი



# ფიქრები, შთაბეჭდილებები, მიზნები

**კითხვა:** ციალა, თქვენ მონაწილეობდით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის მუშაობაში. როგორი მაჩვენებლებით შეხვდა თქვენი კომბინატი პლენუმს?

**პასუხი:** თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა პლენუმის შესახვედრად 1974 წლის ათი თვის რეალიზაციის გეგმა 21 ოქტომბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტის პროდუქცია. კომბინატის მრავალმა მუშამ დაამთავრა პირადი ხუთწლედი და კარგა ხანია 1976 წლის ანგარიშში მუშაობს, ესენი არიან: თემალ ბექაური, ლეილა დავლაშერიძე, ნადეჟდა პარშინა, რიმა კულუმბეკოვა და სხვები.

**კითხვა:** პლენუმზე, თქვენს გამოსვლაში რა საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება?

**პასუხი:** რა თქმა უნდა, მიღწევებზე საჭიროა ლაპარაკი, მაგრამ მე ძირითადად ნაკლოვანებებზე ვილაპარაკე; ნაკლოვანებები გაგვაჩნია, როგორც ჩვენს სამუშაო უბანზე, სადაც ვუშვებთ ფართო მოხმარების საქონელს და ჯერ კიდევ გვიხდება ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ასევე ჩვენს ირგვლივ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შევეხე ვაჭრობაში არსებულ ნაკლოვანებებს, დარღვევებს და დამახინჯებებს. მოვიხსენიე, რომ ჩვენს გამოშვებულ პროდუქციას ულაზათოდ აფორმებენ და აწყობენ დახლებზე, არა აქვს სათანადო რეკლამა, გამყიდველები უხეშად ეპყრობიან მომხმარებელს, ატყუებენ ფასებში.

პლენუმზე გამოვთქვი გულისტკივილი მუშა ქალებისა, რომლებსაც ჰყავთ შვილები და სურთ ზაფხულში შვებულება მათთან ერთად გაატარონ. დედათა და ბავშვთა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები რესპუბლიკაში ძალიან ცოტაა, ამიტომაც არის, რომ ის სამი-ოთხი საგზური, რომლებსაც კომბინატი ანაწილებს, წვეთია ზღვაში. კომბინატში 3.500 ქალი მუშაობს. აქედან ნახევარზე მეტი დედაა, ჰყავს ერთზე მეტი შვილი, საგზური კი მხოლოდ დედისა და ერთი შვილისათვის არის გათვალისწინებული. რა უყონ მათ დანარჩენ შვილებს? ეს საკითხიც მოსაგვარებელია.

ჩემს აღშფოთებას იწვევს ზოგიერთი მშობლის პოზიცია შვილის აღზრდისა და მისი მომავალი პროფესიის განსაზღვრის საქმეში. ბევრ დედას სურს, რომ შვილმა უეჭველად უმაღლესი განათლება მიიღოს, პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლა მისთვის წარმოუდგენლად მიაჩნია, არ აყვარებს შრომას, ზრდის უსაქმურ, მუქთახორა ადამიანად და თავისი „გრძნობებით“ დათვურ სამსახურს უწევს შვილს. ასეთ დედებზე გავლენა უნდა მოვახდინოთ ჩვენ, საზოგადოებამ. ასეთი დედების საპასუხოდ უნდა შეცვალონ პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა მოსწავლეთა მიღების წესებიც. იქ უნდა ირიცხებოდნენ არა სწავლაში ჩამორჩენილები, არამედ წარჩინებული მოსწავლეები. გარდა ამისა, ლენინგრადის მაგალითისამებრ, რატომ არ შეიძლება ჩვენი ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც თანდათნობით გადაყვანილ იქნას პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაზე?

ძალიან მაწუხებს წარმოებიდან მუშათა დენადობა, რაც იმითაც აიხსნება, რომ მუშა, რომელიც სულ სხვა პროფესიით იღებს უმაღლეს განათლებას, თბილისში მსუბუქი მრეწველობის განხრით სათანადო ფაკულტეტების უქონლობის გამო, ტოვებს საწარმოს და მიდის პედაგოგად, ექიმად... საჭიროდ მიმაჩნია, დიდ სამრეწველო საწარმოებთან, მსუბუქი მრეწველობის განხრით უმაღლესი განათლების მისაღებად შეიქმნას სათანადო ფაკულტეტის ფილიალები, მათ შორის ჩვენს კომბინატშიც.

**კითხვა:** პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილება — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. გვაინტერესებს, განვითარების რა პერსპექტივები აქვს თქვენს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს?

**პასუხი:** კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ისტორიული დადგენილებით ჩვენი საწარმოს ზრდა-განვითარებაც არის გათვალისწინებული.

დღეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, რომლის საამქროებიც შეუფერებელ სათავსოებშია განლაგებული, სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს მის წინაშე დასმულ მოთხოვნებს ასორტიმენტის გაფართოების, ხარისხის გაუმჯობესების და რენტაბელობის გადიდების მხრივ. სწორედ ამიტომ, გათვალისწინებულია საწარმოს მთლიანი რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის სამუშაოები უკვე დაიწყო, მაგრამ მიმდინარეობს ძალიან ნელი ტემპით.

**კითხვა:** პლენუმიდან საწარმოში რომ დაბრუნდით, რა მოუთხრეთ თქვენს თანამოსაქმეებს, ფეიქარ ქალებს?

**პასუხი:** მე მათ გავაცანი პლენუმის გადაწყვეტილებანი და დავარწმუნე, რომ საჭიროა ამ გადაწყვეტილებების უფრო ფარ-

თოდ, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა, რომ მათ არა მარტო შესრულების შემოწმებისა და კონტროლის როლი უნდა ესმოდეთ კარგად, არამედ კიდევაც უნდა მიიღონ მონაწილეობა მის სწორ ორგანიზაციაში. ყველა ადამიანმა, რა პოსტზეც არ უნდა იყოს იგი, თავდაპირველად თვით უნდა გამოიმუშაოს თვითკონტროლი და თვითდისციპლინა. აი, რა არის ახლა მთავარი!

**კითხვა:** როგორია თქვენი მიზნები, რით უპასუხებთ პლენუმის გადაწყვეტილებებს?

**პასუხი:** არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ შესრულების შემოწმება და კონტროლი ყველა ჩვენი გეგმის, მიზნის და ჩანაფიქრის განხორციელების უბადლო საშუალებაა, რაც განაპირობებს პრინციპულობის და მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნას.

პლენუმმა, რომელმაც განიხილა „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები შესრულების კონტროლისა და შემოწმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფის დარგში და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტების, მთელი საზოგადოებრიობის აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებები", ახალი მიზნები და ამოცანები დაგვისახა ყველას, — კომუნისტებს და უპარტიოებს, მშრომელთა ფართო მასებს.

დღეს ჩვენ ყველანი ვგრძნობთ უკანასკნელ ხანს გაწეული მუშაობის შედეგებს, რამაც გააჯანსაღა ატმოსფერო, ადამიანებს მისცა უკეთესი მომავლის რწმენა, განუზომელი ინიციატივა და აქტივობა. მაგრამ იმასაც ვგრძნობთ, რომ ჯერ კიდევ საჭირო იქნება ბრძოლა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის შედეგების, პროტექციონიზმისა და სხვა ანტიპოდური მოვლენების აღმოფხვრისათვის. შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ხელს შეუწყობს მუშაობის ყველა უბანზე მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, აქა-იქ ჯერ კიდევ არსებული დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების დარღვევის აღკვეთას, შინაპარტიული ცენტრალიზმის პრინციპების დარღვევის აღკვეთას, შინაპარტიული დემოკრატიის ნორმების გათელვის თავიდან აცილებას, სამართლიანი კრიტიკისათვის დევნის მოსპობას.

ჩემი დღევანდელი პირადი მიზნები და ამოცანები როგორც სამუშაო უბანზე, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში (ვარ კომბინატის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარე), რა თქმა უნდა, სწორედ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფიდან გამომდინარეობს.



ახალგაზრდა მოლდაველი მწერალი ნიკოლაე ესინენკუ (დაიბ. 1940 წ.) ათამდე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია. მათგან აღსანიშნავია ლექსების წიგნი „ვენახი", რომანები: „წინ, ჯარისკაცებო", „ბალახი" და მინიატურების კრებული „ცხოვრების მარცვალი".

გთავაზობთ ორ მინიატურას ამ წიგნიდან, რომელიც თარგმნა ნ ი ნ ო ხ ო ფ ე რ ი ა მ.

## რა ვუყოთ ცას

მაღლა ასწია ხელი. ვერ ასწვდა ცას.
აცოცდა ღობეზე და დაიჭირა.
მერე ძაფზე გამობმული ეჭირა ცა... დარბოდა
ეზოში, დარბოდა და იღიმებოდა...
უცებ ძამიკო გაახსენდა, პატარა კრიცე, ჯერ საწოლიდან
რომ ვერ დგებოდა. გაექანა მისკენ:
ვაჩვენებო ცას...
მაგრამ კარში ცა რომ არ შემოდის?!
არც ფანჯარაში ეტევა ცა!
ბიჭი ზღურბლზე ჯდება დაღონებული.
ძაფი, რომლითაც ცა უჭირავს, ხელის გულს კვეთს
და ტირის ბიჭი.
ტირის... მაგრამ ძაფს არ უშვებს ხელს...

## ჰაერი დაიხუთა

ოთხ რაზმად გავიყავით. ასე სჯობიაო, თქვა დუდუმ, ჩვენს შორის ყველაზე უფროსმა.

ის, ფენიკე, გიცე, მე და ლიე პირველ რაზმში მოვხვდით, მარინი, ვლადი, ონაში, პეტრიკე, ფიფი — მეორეში, გოგონები — მოწყალების დები, მესამე და მეოთხე რაზმს შეადგენენ. პირველმა რაზმმა გორაკზე აირჩია პოზიცია, მეორემ — დაბლობზე.

— დავიწყოთ ბრძოლა, — გამოაცხადა დუდუმ, — ვინც უკან დაიხევს, ადგილზევე დავხვრეტთ. ვინც პირველი მიაღწევს მტრის სანგარს, ჩემი ხელით დავაჯილდოვებ. ტყვეები არ აგვყავს.

ჩავიცვით აბჯრები, ჩვენ ზევიდან ვიცქირებით. მოწინააღმდეგენი ქვევიდან გვემუქრებიან.

— გაიმეორეთ ჩემთან ერთად, — გვიყვირის დუდუ, — ერთი, ორი, სამი. ვიბრძვით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ვინც დაიხევს, ადგილზე დავხვრეტთ, ვინც პირველი მიაღწევს მტრის სანგარს, — ჯილდო. ტყვეები არ აგვყავს... შეკითხვები გაქვთ?

ფენელიმ უცებ მოიწყინა, თითქოს მობეზრდაო ეს ყველაფერი და წყნარი მდინარის პირას ჩვეულებრივი, ლამაზი მზის ნახვა მოუნდა.

— ჰაერი დაიხუთა... ბანაობა მომინდა... — ჩაიბუზღუნა, თოფი და აბჯარი მოიხსნა და მდინარისაკენ გაიქცა.

ბიჭები დაფიქრდნენ.

მიტოვებული თოფი ეგდო ბალახზე...

### თამარ ჩხაიძე

## ქეწნა

### მინიატურა

იყო და არა იყო — რა.

იყო სოფლად ერთი გლეხის ასული: მზეთვალება, უთვალავი ნაწნავები მზის სხივებივით დაჰფენოდა მხრებზე. სახელადაც მზექალა ერქვა. სადედოფლო ქალიაო ამბობდნენ მასზე და უფლისწულსაც შეჰყვარებოდა.

ფარჩას და სტავრას მიართმევდა:

გახდი ჩემიო!

არა, არაო — იქნევდა მზექალა თავს და უთვალავი ნაწნავები ერხეოდა აქეთ-იქით. ლალ-მარგალიტებს მიართმევდა უფლისწული მზექალას:

გახდი ჩემიო!

არა, არაო! — ამოხდებოდა ასულს.

„სხვა უყვარსო" — გაიფიქრა უფლისწულმა და დაუწყო თვალთვალი.

მზისით ვერავინ დალანდა მის გვერდით, მთვარიანში კი მწყემს ჭაბუკს ჰკიდა თვალი.

შენთვის ვაკვნესებ სალამურსო, — ამბობდა ჭაბუკა ალტაცებით.

შენთვის ვართავ ამ ფაფუკ მატყლსო, — პასუხობდა მზექალა.

შენ ხარ ჩემი დედოფალიო!

შენ ხარ ჩემი მეფეო!

თუ ჯვარი არ დაგვაწერინეს, მთვარე იყოს ჩვენი მეჯვარეო!

ვარსკვლავები მაყრიონიო!

მეორე დღეს ძვირფასი ხალიჩა უბოძა უფლისწულმა ასულს:

ახლა ხომ გახდები ჩემიო! — დასძინა და ფეხთით გაუფინა.

საზარლად შეჰკივლა ასულმა. ხალიჩაზე გულგანგმირული მწყემსი ჭაბუკა ესვენა. შეჰკივლა და გაშეშდა. მზეთვალები ჩაუქრა, ნაწნავები ტოტებად ჩამოეძენძა და იქცა ხე-ძეწნად. მისი ცრემლების ტბაში ჩაძირულ ჭაბუკას ფესვები ჩასჭიდა, დასცქერის და დაშრიალებს:

— შეშ-ე-ნ-ი ვარ!

— შშენი ვარ!

—შშენი ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარისა კერესელიძე

## ღვინია

მოთმინების და დუმილის კერას,
ფიჩხსა და ნახშირს მოზომილად ვამატებ ისე,
ვითარცა ჯერ არს.
სვრელის ბოლომდე შორია ჯერაც,
სვრელს თვალით ვზომავ —
გავიტან?
ვერა?
ჭირთამთმენ მხრებზე ვამყარებ იმედს,
ჭრიალებს ჩემი უღელი მძიმე.

. . .

მიდის ცხოვრება, მიდის, მისდევს თავის კალაპოტს,
ზოგი მძიმე ლოდს ეჭიდება,ზოგი სალაყბოს.
ზოგს ნაბადივით გაუშლია ჭადრაკის დაფა
და შიგ კითხულობს წუთისოფლის ურთულეს ზღაპარს.
თოკი დაუხრავს, აუშვია ალვირი მხედარს
და მეოცნებე პაიკებში ლაზიერს ვხედავ.
ვხედავ ჭრელ დაფას ბრძოლით მოფენილს.
„მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი?“...

. . .

სვრელის ბოლომდე შორია ისევ,
სვრელს თვალით ვზომავ და ფიქრებს ვისევ,
შორია ჯერაც.
გავიტან?
ვერა?

. . .

ზოგს კი ეგონა, რომ ღვინია ტაბიკს გასტეხდა
და აპეურებს აიშვებდა ირემა ხარი.
გადაუხვევდა სვრელიდან, რადგან
დაეღლებოდა ამაყი მხარი.
ის ტაბიკები დრომ დასწყვიტა, ჩემო ნინია,
და აპეურებაშვებული მიდის ღვინია.
მიდის ღვინია, თავის ნებით მიჰყვება სახნავს
და არ აშინებს ძნელი გზები და მძიმე დაღლა.
მიდის ღვინია, და დროც მიდის, ჩემო ნინია,
მიდის ღვინია, მწარე ყოფაც მისთვის ლხინია.
მიდის ღვინია, მძიმე უღელს ატარებს მაღლა
უტეხი სული მეგზურად ახლავს.
ვინ მიუზომა ღორღიანი სავალი მაინც,
მოლი როდი აქვთ დაფენილი გზებზე ჩაუქებს.
მაინც გაიტანს წინ შეხვდეს რაიც,
სვრელიდან მაინც არ გადაუხვევს.
თუ ჩაიჩოქა და უმტყუნა მუხლებმა, მაშინ
იქვე მიწვება მხრებით დაღლილით.
და აპატიე ნახევარ გზაში
მიტოვებული თეთრი მარხილი.
და როცა მთვარე მოვა მინებთან
და თებერვალის თეთრი ქუხილი,
თქვი, იმან თავათ ასე ინება,
აღარ წამოგვცდეს ერთი წუხილიც.
და ხმაურიან წელთა დინებას,
გაჰყევი მუდამ ქედმოუხრელი,
რადგან მხოლოდ შენ გეცოდინება,
რა მძიმე იყო ჩემი უღელი.

## რომ მყვარებოდი...

რომ მყვარებოდი, დაგსახავდი მიწიერ ღმერთად
და წუთისოფელს სიხარულით გავლევდი შენთან.
ამ სუსტი მხრებით ვატარებდი უმძიმეს უღელს,
მაგრამ ვერასდროს გაიგებდი ჩემს მცირე წუხილს.
ფასს დავადებდი უმნიშვნელო სურვილსაც შენსას,
თუ მბრძანებელი იქნებოდი გრძნობათა ჩემთა.
არ ვინატრებდი დიდ პალატებს — ჩუქურთმა მოხრილს,
საყოველთაოდ მეყოფოდა პატარა ქოხი,
სად სიყვარული იმეფებდა, არსი ყოველთა,
და ვიქნებოდი ოცნებათა შენთა მპყრობელი,
უფრო ლამაზი გახდებოდა მაშინ სოფელიც.

. . .

შევიმოსავდი კოჭებამდე შინდისფერ კაბას
(შენ არ გიყვარდა კაბები მოკლე!),
გაიოცებდა პატარა დაბა, —
წყაროზე ქალი წასულაო ვეება კოკით.
შინ დაბრუნებულს ნაჯაფარს, დაღლილს,
სითბოთი სავსე დაგხვდებოდა პატარა სახლი.
წაგიკითხავდი უნაზეს ლექსებს,
წაბლისფერ დალალს დაგაფენდი დაღალულ მხრებზე.
მოგირჩებოდა ყველა წყლული, ყველა იარა
და დაღლილობაც გადაგივლიდა;
და სული შენი — უკვდავების თანაზიარი,
უმშვენიერეს და უთეთრეს გზებით ივლიდა.
...და თავებმოხრილს, მბრწყინავს, ლამაზებს,
პატარა ქოხი აჯობებდა ციხე-დარბაზებს.

## ბაბუაწვერა

აქეთ გაფრინდი, შორს არიან ნისლები ჯერაც,
ქარებს გაჰყევი ზღვიდან მობერილს,
აქეთ გაფრინდი, აქეთ არის ჩემი სოფელი,
მანდ ისლის ქოხში იქნებ შეხვდე ჩემს ბედის მწერალს
და სიხარული მომიტანო, ბაბუაწვერავ.

* * *

აი, ის წიგნი, ჩემო კეთილო,
ათი წლის წინათ რომ ეძებდი წიგნის თაროზე.
დღეს რატომა ხარ გულდაწყვეტილი,
არ გადაიცვამ საზეიმო რამე სამოსელს....

. . .

აი, ის წიგნი, ჩემო კეთილო,
ათი წლის წინათ, რომ ეძებდი წიგნის თაროზე.



ხუთწლედის დიდი მშენებლობა

სათავე-ნაგებობის ხედი

# მოირწყვება 100 000 ჰექტარი

ბუნების წყალობას არც ახლა ელოდება ადამიანი და ვერც ძველად დაელოდებოდა.

ჯერ კიდევ მესამე-მეოთხე საუკუნეში ჰქონიათ ქართველებს მარტივი არხები, ციხე-სიმაგრეებში წყლის მიმწოდებელი რუები.

თამარ მეფემ კი ისეთი არხი გააჭრევინა ალაზნის ველზე, რომ მისი ნაშთების გაანალიზებისას სპეციალისტები, აღტაცებას ვერ მალავენ.

თამარის ე. წ. „რუსხნულას არხი" იწყებოდა დაახლოებით ალვანის მიდამოებში და მიჰყვებოდა ალაზნის ნაპირს. იგი ნაგები ყოფილა კირსილით და გადიოდა ნახევარჭრილსა და ნახევარყრილში.

არხის ტრასა გვაფიქრებინებს, რომ მას უნდა გადაეკვეთა ის ხევები, რომლებითაც დასერილია ცივგომბორის მიდამოები. ამდენად, არხის მშენებლობის კომპლექსში უნდა ყოფილიყო დამხმარე ნაგებობანი (დღეს რომ აკვედუკებს ვეძახით), რაც დიდად განსწავლულ ხუროებს უნდა შეესრულებინათ.

გამოდის, რომ ჩვენი წინაპრები, ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ იღებდნენ სარწყავ წყალს ისეთი წყალუხვი მდინარეებიდან, როგორიც ალაზანია.

და აი, კვლავ დადგა დაუდეგარი ალაზნის მოთოკვის ჯერი. მოვიდა გამრჯე ქართველი, „დაჰკრა ბარი", აღრინდნენ მძლავრი ექსკავატორები, ახრიალდნენ ბეტონმრევები, აბორგდნენ თვითმცლელები.

ახდა კახელი გლეხის საუკუნოვანი ოცნება — დაიწყო ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ეს იყო 1968 წელს.

ალაზნის არხი, რომლის პროექტიც დამუშავებულია საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქსახწყალპროექტის" მიერ, ყველაზე დიდი საირიგაციო სისტემაა ჩვენს რესპუბლიკაში. იგი ითვალისწინებს 109 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას.

ერთხელ და სამუდამოდ გაუძლება გული კახეთის მიწას, ზვრებს ძარღვები დაევსებათ მაცოცხლებელი წყლით, დარდის ტვირთს ჩამოიხსნის გვალვებით დაშინებული კახელი გლეხი.

ვათვალიერებ ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე-ნაგებობას. ეს არის თვალწარმტაცი სანახაობა. ჯებირებში მოქცეული ალაზნის წყალი ვერცხლისფრად ზიმზიმებს მზის სხივებზე. ვერცხლისავე ფერის ქამარივით გდია ნოყიერ დედამიწაზე ბეტონის ღარი, რომელშიაც ლაღად მილივლივებს წყალი.

ჩემი მეგზურია „ალაზნმშენის" ტრესტის მმართველის მოადგილე შალვა დობორჯგინიძე, მელიორაციის საქმეში განსწავლული და დიდად ერუდირებული ინჟინერი. შალვას თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ მოსკოვის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა აქვს დამთავრებული. 1970 წლიდან „ალაზანმშენის" ხელმძღვანელ თანამდებობაზეა.

შევდივართ სათავე-ნაგებობის სამართავი პულტის ჯიხურში. აქ ყველაფერი ავტომატიზებულია. საკმარისია თითი დააჭირო საჭირო ღილაკს, რომ რკინის ფარები ჩამოეშვას და ალაზნის წყალს არხისაკენ უქციოს პირი.

სწორედ აქედან, სოფელ დუისთან, იწყება მაგისტრალური არხი, რომლის გამტარიანობა 24 კბ მეტრია წამში.

ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა ორ რიგადაა გათვალისწინებული. პირველი რიგის სამუშაოები, რაც ამჟამად მიმდინარეობს, ითვალისწინებს შიდა კახეთში — ახმეტის, თელავისა და გურჯაანის რაიონებში — 41 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას, ხოლო მეორე რიგის სამუშაოები გულისხმობს გარე კახეთის — ტარაბანის, ელდარისა და ოლენამარის ფართობების გაწყლოვანებას 68 ათას ჰექტარზე.

მაგისტრალური არხის ტრასა რთულ რელიეფზე გადის. ამან განაპირობა ისეთ რთულ ტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, როგორიცაა გვირაბები, რკინაბეტონისა და ლითონის დიუკერები, გალერეები, აკვედუკები.

მდინარე ადამიანივითაა, ხან მშვიდია, მდორე, ხან კი გააფთრდება.

გაზაფხულზე ადიდებულ-გამძვინვარებულს, ვინ იცის, რამდენჯერ აუკლია ბალვენახი და კარმიდამო. ბაბანაქებაში კი გვალვას მხარში ამოსდგომია და დედამიწისათვის პირი გაუშრია.

ამიერიდან ალაზანი თავის ნებაზე ველარ იბოგინებს: ადიდდება? ბეტონის არტახები მოარჯულებს, დამდორდება და ილტო მიეხმარება.

თუ წინათ ილტოს ალაზნის მარჯვენა შენაკადს ეძახდნენ, ახლა ალაზნის მარჯვენა ხელიაო, ამბობენ.

ილტოზე აგებული მეორე დამხმარე სათავე-ნაგებობიდან მუდამ შეიძლება დამატებით 6 კბ მეტრი წყლის მიწოდება მაგისტრალურ არხში. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ ვერც ქარ-ღვართქაფი და ვეღარც მზეწვია ნირს ვერ შეაცვლევინებს გლეხის ნაოფლარ-ნაჯაფარს.

არხის მშენებლების ხელმძღვანელები, მშენებლები და სამუშაოთა მწარმოებლები: მმართველი გივი ხუციშვილი, მოადგილე შალვა დობორჯგინიძე, მთავარი ინჟინერი იური ცენტერაძე, ტექნიკური განყოფილების უფროსი სილვა შევლოხოვა, ინჟინრები — ჟიული ლოლაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე — მთელი კოლექტივი, დღე-ღამეს ასწორებენ იმაზე ფიქრში, რომ რითიმე დააჩქარონ მშენებლობა, რითიმე გააუმჯობესონ წარმოების პროცესი. ტყუილად როდი შეიტანა მთავრობამ „ალაზანმშენი“ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მშენებლობათა სიაში!

ფიქრთა და აზრთა ჯანსაღ ჭიდილში დაიბადა ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რამაც ერთიორად დააჩქარა არხის მშენებლობა. ეს არის ლითონის მცოცავი ქარგილების შემოღება.

სექციების დასაბეტონებლად უწინ ხმარობდნენ ხის ქარგილებს. ასეთი ქარგილების დამზადება მოითხოვდა დამატებით მუშახელს, დურგლებს, დიდ დროს, ხის მასალას. ახლა ხმარებაშია ე. წ. ლითონის მცოცავი ქარგილები, რომლებიც გადაადგილდება ბოლოებში მიმაგრებული გორგოლაჭების დახმარებით, ისე, რომ, რამდენიმე ასეთი ქარგილით შეიძლება მთელი არხის დაბეტონება მოხდეს.

— ეს რაღაა, — ვეკითხები მეგზურს და დედამიწიდან ამოწვდილ კარკასებზე მივუთითებ.

— აქ სუპარტეზიული ჭაბურღილები შენდება, — მიხსნის იგი და განმარტავს: — მრავალჯერი მორწყვა და ხშირი წვიმები შეიძლება გახდეს ნიადაგში წყლისა და მარილების დაგროვების მიზეზი. ასეთი გრუნტქვეშა წყალი რომ არ იმოიტუმბოს, ის ზედაპირზე ამოიწევს და დაჭაობებას გამოიწვევს. ეს თავისთავად ფართობის ნაწილს „მწყობრიდან გამოიყვანს“. ეს რომ არ მოხდეს, სარწყავი ფართობების გასწვრივ, ყოველ 500 მეტრში სუპარტეზიულ ჭაბურღილებს ვაგებთ, რომელთა დახმარებითაც შეიძლება გრუნტის წყლების დონის დაწევა.

წინ ბევრი სამუშაო ელით „ალაზანმშენის“ მუშებს.

ამჟამად მშენებლობა მიმდინარეობს ახმეტის, თელავისა და გურჯაანის რაიონებში. სამშენებლო ფრონტის საერთო სიგრძე 100 კილომეტრს აღემატება. დღეისათვის მზადყოფნაშია 50 კილომეტრამდე მაგისტრალური არხი, 4 კილომეტრამდე საერთო სიგრძის ხუთი გვირაბი, სამი დიუკერი, 9 გალერეა და სხვა. 1972 წლიდან უკვე ირწყვება ხუთი ათასი ჰექტარი მიწა ახმეტისა და თელავის რაიონებში.

ალაზნის სარწყავი სისტემა დიდ ეფექტს მოგვცემს. მკვეთრად გაიზრდება ამ ზონის ძირითადი კულტურის — მევენახეობის მოსავლიანობა. რაც მთავარია, მოსავლიანობა იქნება სტაბილური. ამას გარდა, განვითარდება მებაღჩეობა, მეხილეობა და სხვა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები.

ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობით ახლა ყველაა დაინტერესებული. აქ ხშირად ჩამოდიან პარტიული ხელმძღვანელები, სხვადასხვა დელეგაციები. უცხოელი მელიორატორები.

შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი საგულისხმო ჩანაწერია.

მწერალთა და კრიტიკოსთა საკავშირო თათბირის მონაწილენი წერენ: „ჩვენ, პროზაიკოსებს აქ ბევრი სამუშაო გვაქვს, რათა აღვწეროთ ჩვენს ნაწარმოებებში ეს შთამბეჭდავი ნაგებობა და მისი მშენებლების გმირობა“.

„ჩვენ, კრიტიკოსებს აქ საარსებო არაფერი გვაქვს. ეს მაღლა დგას ყოველგვარ კრიტიკაზე“...

მწერლებმა სწორად შეაფასეს ალაზნელების შრომა.

უ. ზარეკიძე

ირაკლი არაბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წყაროები

დამაფიქრებენ წყარონი ბევრჯერ
დაფანტულები მთაზე ძაფებად;
ბევრი სიცხეში შეუშვერს ბეჭებს,
ბევრიც მწყურვალი დაეწაფება;
ხან გამაოცებს მათი სიმრავლე.—
მეც მთების წყარო მისხურებია;
ზოგი ყინულის გულში იმალვის,
ზოგნიც თოვლიდან იწურებიან;
მათ სვამდნენ ვაჟნი ხახადამშრალნი,
უხარებია ფესვიც სუროთა.
აქ მოუხდია მხედარს აბჯარი,
ომში გამოვლილს, როცა სწყუროდა;
აქ აუვსია ქართველ ქალს კოკა —
შავთვალა გოგოს — ტანით საროსა;
უკვდავების წყალს ეძახდნენ ზოგნი,
და სხვანი კიდევ ბედის წყაროსა.
ეწაფებოდნენ გზაში ქალ-ვაჟნი —
მზით დამწვარნი თუ ბედით დამწვარნი.
ის უგრილებდა შუბლებს დამაშვრალთ,
წყაროს ლოცავდა კაცი ნამგზავრი.
ამ წყაროებს ვსვამთ, ამ წყაროს სვამდნენ
გულის სალბუნად, სულის სამოთხედ.
ჩვენთან წყაროსთავს ვუწოდებთ რამდენს,
რამდენ წყაროთგორს, რამდენ წყაროთხევს!
ყოველ წყაროსთან კაცი სახლობდა
(ამ წყაროების სახელს რა მოთვლის!).
ჩვენთა ვაკეთა, ჩვენთა მაღლობთა
ვაბიბინებდით ცივი წყაროთი;
ამ წყაროების ოქროს ცინცხალი
ქართული მიწის გულ-მკერდს ნამავდეს;
მანამ ყვავიან ჩვენნი მიწანი,
ეს წყაროებიც იდენს მანამდე.

გიორგი გიგაური

## ხევსურეთი

ირგვლივ მთებია,
რუხი ჭიუხი
თვალწარმტაცია,
როგორც ტაძარი,
მიწა განთქმულა სხივთა სიუხვით,
მზის სიყვარულით — კერის ნაცარი.
ძირს დაცემული ნაჭერი ცისა —
ტბა ფერებს ფანტავს ცისარტყელებად,
ტბა — ხევსურეთის, შაორი, რიწა;
ტბა — სანახების ლურჯი მშვენება.
ლოდები,
ბევრზე ბევრი ლოდები,
აღმართულები სართულ-სართულად,
რაღაც უკეთესს ელოდებიან,
მოხუცებივით ფიქრში გართულან.
და მოხუცები ჩიბუხის ბოლით
გარუჯულები,
გათანგულები,
დამდგარან, როგორც არხოტის გორი,
დაუწურიათ ხელში გულები.
სიტყვას გეტყვიან მოკლედ და მოჭრით,
შიგ მთელი მთაა,
მთელი ცხოვრება,
ხევსურს ვერ ნახავ მოხრილს და მორჩილს,
იმ პაპაჩემის სულის ცხონებამ.



„მიპატიჟება საცეკვაოდ“ (გამოსაშვები სპექტაკლი).

# თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი

თბილისი დიდი საბალეტო ტრადიციების მქონე ქალაქია, ქართველი ხალხის ბუნებრივი ცეკვის ნიჭი, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უჩვეულო სიმდიდრე და მრავალსახეობა, ქალაქის მუსიკალურ-თეატრალური ურთიერთობა სხვა ხალხთან, განსაკუთრებით რუსეთის მოწინავე კულტურასთან — აი, რამ განაპირობა საქართველოში საბალეტო ხელოვნების ჩასახვა და განვითარება. პირველი საბალეტო სტუდია თბილისში გახსნა ცნობილმა იტალიელმა მოცეკვავე ქალმა მ. ი. პერინიმ. სტუდიამ (1916-1935 წლები) დასაბამი მისცა პროფესიული საბალეტო კადრების გამოზრდას საქართველოში.

ამ სტუდიიდან გამოვიდა მოცეკვავეთა პირველი დიდი პლეადა, რომლის უმრავლესობა დღემდე ნაყოფიერად მუშაობს ქორეოგრაფიის სხვადასხვა დარგში; საბალეტო კადრების აღზრდის საქმეში ახალი პერიოდი დაიწყო 1951 წელს, როდესაც თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა ჩვენი დროის გამოჩენილი მოცეკვავე და ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი.

სასწავლებელში დიდ საქმიანობას ეწევიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები, უპირველეს ყოვლისა, თვით უფროსი თაობა: სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი და წამყვანი პედაგოგი ვ. მ. ჭაბუკიანი, დამსახურებული პედაგოგები: ტ. მ. ვიხოდცევა. ნ. ვ. ვოეიკოვა, ს. დ. სოლოგოვი, ს. გ. ვეკუა (სასწავლებლის დირექტორი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ვ. წიგნაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ნ. გრიშკევიჩი და სხვები. თბილისის სასწავლებელში, ისევე როგორც ყველგან, მეცადინეობა მოსკოვის პროგრამითა და სასწავლო გეგმით წარმოებს. პროგრამაში შედის საერთო საგანმანათლებლო სპეციალური ციკლი, მარქსისტულ-ლენინური თეორია, თეატრისა და ბალეტის ისტორია, დაბოლოს მაპროფილებელი ციკლი: კლასიკური ცეკვა, ხალხური ცეკვა, საბალეტო ცეკვა, მსახიობის ხელოვნება და ა. შ. დიდი ყურადღება ექცევა ქართული ცეკვების შესწავლას, ოღონდ ეს ცეკვები აქ გამდიდრებულია თეატრალური ელემენტებით... საერთოდ სკოლის იდეურ-მხატვრული პრინციპებისა და სცენური შესრულების ერთიანობა ქართული საბჭოთა ბალეტის განვითარების, გადამწყვეტი პირობაა. ამიტომაც, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისას, დასახულია ამოცანა — მოსწავლეები თავიდანვე შეაჩვიონ მხატვრული სახეებით აზროვნებას, გამოამჟღავნონ თითოეული მოსწავლის შემოქმედებითი შესაძლებლობანი. სასწავლო პროგრამას ერწყმის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო რეპერტუარი, სწორედ იმ თეატრის რეპერტუარი, ვისთვისაც იზრდებიან კადრები.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები სერიოზულსა და რთულ გამოცდას აბარებენ: მთავარია საბალეტო ცეკვის ყველა ფორმის დაუფლებასთან ერთად შესძლონ გახსნან გმირის სახე, ჩაწვდენ მის აზრებს, გრძნობებს, განცდას, ყოველივე გადმოსცენ ხალხისათვის დამახასიათებელი პლასტიკური ენით.

შემთხვევითი არ არის, რომ ოტელოს მავრიტანული ცეკვა, რომელმაც ასე ღრმად გაგვიხსნა გმირის სახე, საბალეტო ლიტერატურაში იწოდება: „ცეკვა მშობლიურ ენაზე“. ასე „მშობლიურ ენაზე“ ცეკვით გვესიტყვებიან სცენიდან ქართველები — ჯარჯი და მანიჟე („მთების გული“), რუსები — სერგეი და ნატაშა („მშვიდობისათვის“), ესპანელები. ლაურენსია, ფრონდოსო, პასკუალა („ლაურენსია“)... და სადაც არ უნდა შეასრულოს გორდამ სამშობლოში დაბრუნების თავისი ვარიაცია, ის ყველგან გაგებულია, როგორც ჰიმნი მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულისა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბელინსკი წერდა: „ჭეშმარიტად სახალხო მარტო ის ლიტერატურაა, რომელიც ამავე დროს ზოგადსაკაცობრიოა“. აი, რას წერდა უნგრეთის პრესა „გორდას“ შესახებ: „მხოლოდ ასეთი დონის ცეკვას შეეძლო მოეხდინა საოცრება: ჩვენ თითქოს გვესმის ქართული, ჩვენ შეგვიყვარდა საქართველო“.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ეს სული მეფობს სასწავლებელშიც. აქ იზრდებიან ქართველი, რუსი, სომეხი, ებრაელი და სხვა ეროვნების ბავშვები. რამდენიმე წლის წინ აქ აღიზარდა ბულგარელი ივანე ტოპალოვი, იგი ახლა ენთუზიაზმით მუშაობს თავის სამშობლოში. აქვე დაეუფლნენ საბალეტო ხელოვნებას ახალგაზრდა ჩეჩნები და ადიღეელები. თავიანთ სამშობლოში მათ მშვენიერი ეროვნული ანსამბლები ჩამოაყალიბეს, ხოლო წელს სამი ადიღეელი ახალგაზრდა ჩარიცხეს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასში.

თბილისის საბალეტო სასწავლებელში აღზრდილები დღეს წარმატებით ცეკვავენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრებში, მონაწილეობას იღებენ საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებში: 1949 წელს ვ. წიგნაძე და ზ. კიკალეიშვილი ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები გახდნენ, ლ. მითაიშვილი ახალგაზრდობის VI საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია, ი. ჯანდიერი — მოსკოვის პირველი საერთაშორისო საბალეტო კონკურსის ლაურეატი (1969 წ.). ბალეტმეისტერთა საერთაშორისო კონკურსებზე საუკეთესო შესრულებისათვის 1969-1972 წლებში პირველი პრემიები დაიმსახურეს: ვ. კაპიცამ, ზ. ამონაშვილმა, ს. ტერეშჩენკომ.

ქორეოგრაფიულ სასწავლებელთა საკავშირო დათვალიერებისას, მოსკოვში, ჟურნალი „თეატრი" ხაზგასმით აღნიშნავდა პედაგოგების — ვ. წიგნაძისა და ტ. ვიხოდცევას მიერ მომზადებული კლასიკური ცეკვის აკადემიურობას, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მუშაობის დონის ამაღლებას.

გასულ წელს „თეთრი ღამეების" საკავშირო ფესტივალზე ლენინგრადში, სადაც ქორეოგრაფიული სასწავლებლების უფროსკლასელთა საშემსრულებლო ხელოვნების საკავშირო დათვალიერება მიმდინარეობდა, თბილისელებმა უჩვენეს ფრაგმენტები ბალეტებიდან — „ბაიადერა" და „მშვიდობისათვის". მათ თბილისში ფესტივალის დიპლომები ჩამოიტანეს.

კარგა ხანია ჩვენი სასწავლებლის წინაშე მწვავედ დგას პრობლემა — ესაა თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური ბაზის შექმნა (ინტერნატი, სცენა და სხვ.). აუცილებელია, ყოველივე დროულად და დადებითად გადაწყდეს.

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დაარსება დაემთხვა ქართული საბჭოთა ბალეტის ჩასახვისა და აღმავლობის პერიოდს, როდესაც ეროვნული რეპერტუარის ფონდი მდიდრდებოდა ვ. ჭაბუკიანის დადგმებით: „მთების გული", „ლაურენსია", „სინათლე", „გორდა", „ოტელო", „დემონი", „ჰამლეტი" და ბევრი სხვა. ეს სპექტაკლები გამოირჩეოდნენ ნოვატორული საბალეტო სახეებით, სცენური შესრულების თვითმყოფადი სტილით, ერთი სიტყვით, ყველაფრით, რასაც ქართული საბალეტო ხელოვნების სკოლა ეწოდება.

სწორედ ამ სკოლამ გამოზარდა მოცეკვავეთა არა ერთი კვალიფიციური თაობა, საბალეტო ხელოვნების შესანიშნავი ოსტატები, რომელთა შესახებაც სახელგანთქმული გალინა ულანოვა წერდა: „სამშობლოსა და საზღვარგარეთის სცენებზე ჩვენი ქვეყნის მოცეკვავეებმა მაღლა ასწიეს საბჭოთა ხელოვნების დროშა. სასიხარულოა, რომ მათ რიგებშია ქართული ბალეტის ოსტატები, რომლებიც ერთ-ერთი პირველთაგანი არიან ჩვენს ქვეყანაში".

**ნატო ჩხეიძე**


სცენა „დონ-კიხოტიდან" (გამოსაშვები სპექტაკლი).


მეცადინეობაზე


მეცადინეობისას



ჩვენი კალენდარი

# დიდი რუსი მათემატიკოსი

(სოფია კოვალევსკაიას დაბადების 125 წლისთავის გამო)

შემთხვევამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მათემატიკით გოგონას დაინტერესებას: მამაპაპისეულ სახლს რომ არემონტებდნენ, შპალერი შემოაკლდათ და გადაწყვიტეს ბავშვის ოთახში უბრალო ქაღალდი გაეკრათ. ამისათვის მ. ოსტროგრადსკის „დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა“ გასწირეს. მამა, ვასილ კორვინ-კრუკოვსკი ახალგაზრდობაში ისმენდა გამოჩენილი რუსი მათემატიკოსის ლექციებს, შემდეგ უცნაური ამბები დაიწყო; გოგონა საათობით იდგა კედელთან და დაჟინებით შესცქეროდა გამოსახულებებს, ფორმულებს, ნახაზებს. ის კი არა, ზოგჯერ ღამ-ღამობითაც, პერანგისამარა, ლამპით ხელში მიუყვებოდა კედლებს, ცდილობდა „გაკრული“ აზრები ჩამოეტანა...

...მერე, დიდი ხნის მერე, იყო ბერლინი, პოტსდამის ქუჩა და ძველებური სახლი, თითბრის მავთულზე ჩამოკიდებული ზარის დასარეკი სახელური — თეთრი ფაიფურის სახელური, რომელსაც შავი ასოებით ეწერა „ვაიერშტრასი“. თეთრწინსაფრიანი, ხანდაზმული მოსამსახურე, ალბათ, მეათასედ წარმოთქვამდა: დიახ, ჰერ პროფესორი შინაა.

მოსასხამში გახვეული ქალიშვილი მოკრძალებით შედის დიდი მათემატიკოსის კაბინეტში და დამტვრეული გერმანულით ლუღლუღებს სათქმელს. დიდი მათემატიკოსი საერთოდ ცოტა ეჭვით უყურებს ქალების გამეცნიერების საქმეს, მაგრამ სტუმრის ნიჭიერება ანცვიფრებს და პოზიციას აცვლევინებს. ასე იწყება 20 წლის სოფია (სონია) ვასილის ასულ კოვალევსკაიას ხანგრძლივი მეგობრობა 35 წლით უფროს კარლ ვილჰელმ ვაიერშტრასთან. ვაიერშტრასი კოვალევსკაიას ერთგული მეცნიერული და სულიერი მოძღვარი ხდება.

ზედიზედ შესრულებულ სამ მათემატიკურ ნაშრომს პირველი შემოქმედებითი წარმატებები მოჰყვა. 24 წლის ს. კოვალევსკაიას გოტინგენის განთქმულმა უნივერსიტეტმა, კ. ვაიერშტრასის წარდგენით, ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა პირველად დაუსწრებლად და გამოუცდელად!

გავიდა ხანი და სტოკჰოლმში სოფია კოვალევსკაიას ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები დაიწყო (1883-1891): აქ შექმნა საუკეთესო მათემატიკური და ლიტერატურული ნაწარმოებები, აქაურ უნივერსიტეტში წაიკითხა თორმეტი ურთულესი მათემატიკური კურსი, აქ გახდა მსოფლიოში პირველი ქალი — პრივატდოცენტი, პირველი ქალი — პროფესორი, პირველი ქალი — წევრ-კორესპონდენტი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისა. ბოლოს, აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

... იმ ამოცანას გერმანელებმა მათემატიკური სირინოზი შეარქვეს. ეგებ იმიტომ, რომ ამომხსნელებს სირინოზივით იზიდავდა და სირინოზივითვე უსხლტებოდა ხელიდან. ლაპარაკია მექანიკის ერთ-ერთ უძნელეს პრობლემაზე — უძრავი წერტილის გარშემო მყარი სხეულის ბრუნვაზე. სულ ორად-ორი შემთხვევა იყო ცნობილი, როცა მოძრაობის სურათი ბოლომდე ნათელია: ეილერ-პუანსოსა და ლაგრანჟის შემთხვევები. მკვლევართა შემდგომ ცდებს რაიმე მნიშვნელოვანი პროგრესი არ მოჰყოლია, თუმცა პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ რამდენჯერმე გამოაცხადა კონკურსი. გამოკვლევებზე, რომლებიც არსებითად გააღრმავებდა საკითხის შესწავლას, მაგრამ ამაოდ — ნოტარიუს ბორდენის სახელობის პრემია გაუცემელი რჩებოდა.

1888 წელს მორიგი კონკურსი გამოცხადდა. ფრიად ავტორიტეტულმა კომისიამ საუკეთესოდ მიიჩნია თხზულება, რომელსაც ეწოდებოდა „ამოცანა უძრავი წერტილის გარშემო მყარი სხეულის ბრუნვის შესახებ“ და რომელიც წარმოდგენილი იყო დევიზით: „ილაპარაკე, რაც იცი, აკეთე, რასაც უნდა აკეთებდე, მოხდეს, რაც მოსახდენია“. კომისიამ ისიც მიიჩნია საჭიროდ, რომ ამ ნაშრომისათვის პრემია გაზრდილიყო 3.000-დან 5.000 ფრანკამდე.

პარიზის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივნები ჟოზეფ ბერტრანი და ლუი პასტერი აწერდნენ ხელს სპეციალურ ბლანკზე დაბეჭდილ შეტყობინებას. დაჯილდოების დღეც დადგა და პრემიის მისაღებად გამოვიდა მომცრო ტანის მოხდენილი ქალი, ლამაზნაკვთებიანი სახით, მბრწყინავი, გამჭვალავი თვალებით, შუბლზე ღრმა, გონებრივი დაძაბულობის გამომხატველი ნაოჭით. ადვილი წარმოსადგენია საერთო გაოცება და ეფექტი, თუმცა ეს მართლაც გასაოცარი ქალი სულაც არ იყო ახალბედა მკვლევარი, მას კარგად იცნობდნენ ევროპის მათემატიკური წრეები. ამიერიდან კი მას მთელი მსოფლიო გაიცნობდა, ამიერიდან მექანიკის ყველა სერიოზულ სახელმძღვანელოში ეილერ-პუანსოსა და ლაგრანჟის გვერდით გაჩნდებოდა კოვალევსკაიას შემთხვევა — მძიმე გიროსკოპის ბრუნვის მესამე კლასიკური შემთხვევა.

ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც გამოვლინდა ს. კოვალევსკაიას ცოცხალი, მახვილი გონება და ფართო ინტერესები. მან დაწერა დრამა „ბრძოლა ბედნიერებისათვის“ (შვედ მწერალ ქალ ანა-შარლოტა ლეფლერთან ერთად), რომელიც იდგმებოდა რუსეთში. მასვე ეკუთვნის რომანი „ნიჰილისტი ქალი“, ოჯახური ქრონიკა „ბავშვობის მოგონებანი“, აგრეთვე „მოგონებანი ჯორჯ ელიოტზე“, ლექსები, პუბლიცისტური წერილები და სტატიები.

ორმოცი წლისა იმსხვერპლა ფილტვების ანთებამ. ასაფლავებდნენ დიდძალი ხალხის თანდასწრებით. უამრავ გვირგვინში ერთს, სულ თეთრი შროშანებისაგან გაკეთებულს, უბრალო წარწერა ჰქონდა: „სონიას ვაიერშტრასისაგან“. ერთი გვირგვინი შორეული თბილისიდანაც იყო.

125 წლის მანძილზე არ შენელებულა ამ მრავალმხრივი და რომანტიკული პიროვნებისადმი დიდი ინტერესი. დღემდე ს. კოვალევსკაიას მიეძღვნა ორასზე მეტი დასახელების ლიტერატურული თუ მეცნიერული წერილი, ნარკვევი, მონოგრაფია. სულ ახლახან გამოვიდა კაპიტალური წიგნი „კარლ ვაიერშტრასის წერილები სოფია კოვალევსკაიასადმი“, სადაც გერმანულ და რუსულ ენებზე პირველადაა გამოქვეყნებული სახელგანთქმული მათემატიკოსის 84 უაღრესად საყურადღებო ბარათი. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი რუსულად თარგმნა ს. კოვალევსკაიას ქალიშვილმა სოფია ვლადიმერის ასულმა კოვალევსკაიამ.

...1888 წლის კონკურსის წინ ს. კოვალევსკაია ასე წერდა ერთ ნაცნობს: „თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა შევძელი, რომელზეც ახლა ვმუშაობ, მაშინ ჩემ სახელს ყველაზე გამოჩენილი მათემატიკოსების სახელების გვერდით მოიხსენიებენ. ეს წინასწარმეტყველება. ქალთა ემანსიპაციისათვის მგზნებარე მებრძოლმა, მეცნიერებაში ქალების გზის გაბედულმა გამკვლევმა მართლაც რომ „ცოტა როდი გააკეთა რუსული სახელის განსადიდებლად“, როგორც ამბობდა თანამედროვე ჰიდრო და აერომექანიკის ფუძემდებელი ნიკოლოზ ჟუკოვსკი.

თ. ეგანოიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერემია ქარელიშვილი

# საბავშვო ლიტერატურის მოამაგე



ანიკო ღვინიაშვილი, რომელიც უკვე სამოცდაათი წლისაა, დღესაც ყურადღებას იქცევს დაუღალავი და უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობით. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც თავის ნიჭსა და ცოდნას დაუზოგავად ახმარს ქართულ საბავშვო მწერლობას, იკვლევს მის სათავეებს, პოპულარიზაციას უწევს მის წარმატებებს.

მომავალი თაობის ესთეტიკურმა აღზრდამ და გონებრივმა განვითარებამ ანიკო ღვინიაშვილი ახალგაზრდობიდანვე დააინტერესა, გაიტაცა და შემდეგში მოღვაწეობის ეს სფერო მის შემოქმედებით მოწოდებად იქცა. ჯერ ისევ სტუდენტმა, 1924 წელს საბიბლიოთეკო კურსებზე წაიკითხა ლექცია ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე. ეს თითქმის პირველი ცდა იყო ჟურნალ „ნობათის“, „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ სერიოზული მიმოხილვისა, მათ იდეურ-მხატვრულ მიმართულებათა და თავისებურებათა შესწავლა-გარკვევისა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც, სადაც არ უნდა ემუშავა, სკოლაში, ბიბლიოთეკაში, თუ გამომცემლობაში, კავშირს არ სწყვეტდა ბავშვებთან, საბავშვო მწერლობასთან, და სულ მალე სახელი მოიხვეჭა როგორც კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის ნიჭიერმა მკვლევარმა. თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე იგი საბავშვო ლიტერატურის კურსს კითხულობდა გორის, თბილისის, ქუთაისის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, გამოდიოდა საჯარო მოხსენებებით, მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ დისკუსიებში, მწერალთა შემოქმედებით საღამოებში.

იმ დღიდან კი, როცა თბილისში ქართული მოზარდ-მაყურებელთა თეატრი დაარსდა, ანიკო ღვინიაშვილის სამოღვაწეო სარბიელი კიდევ უფრო გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი მუშაობდა თეატრის პედაგოგიური ნაწილის გამგედ, მონაწილეობას იღებდა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში და აქტიურად ეხმარებოდა კოლექტივს მხატვრულ-პედაგოგიური პოზიციის გამომუშავებაში. საბავშვო ლიტერატურის მკვლევარმა, საბავშვო თეატრის განვითარების პრობლემების კვლევაც თავის მოწოდებად გაიხადა.

ამ თეატრის სიყვარული ანიკო ღვინიაშვილმა ბოლომდე შეინარჩუნა. დღესაც ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ცოდნითა და პირუთვნელად დაწერილ მის სტატიებს თეატრის წარმოდგენებზე თუ მის ცალკეულ ამაგდარ მოღვაწეებზე.

ანიკო ღვინიაშვილმა იმთავითვე გასაოცარი შემოქმედებითი ენერგია გამოამჟღავნა. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მრავალფეროვან და ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწევა, სისტემატურად წერს საჟურნალო და საგაზეთო სტატიებს. შეკრიბა, რედაქცია გაუკეთა და წინასიტყვაობა წარუმძღვარა თედო რაზიკაშვილის მოთხრობებს. მოამზადა გამოსაცემად თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური ზღაპრები, ქართული საბავშვო ლიტერატურის ქრესტომათიის პირველი და მეორე წიგნის ტექსტები, გამოაქვეყნა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის, ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ისტორიის და მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ისტორიის ნარკვევები, სტატიების კრებული ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგეებზე, მონოგრაფიები მწერალ საფო მგელაძეზე, მოხეტიალე მუსიკოს ილიკო ქურხულზე და სხვ. მალე მკითხველი მიიღებს დიდი სიყვარულით დაწერილ მის მონოგრაფიას საბავშვო თეატრის პოპულარულ მსახიობ გოგუცა კუპრაშვილზე.

ყველაფერი ეს მხოლოდ ნაწილია ანიკო ღვინიაშვილის ხანგრძლივი, დაუღალავი და შთაგონებული შრომისა.

ანიკო ღვინიაშვილი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გავიცანი მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც მე სამხატვრო-პოლიტიკური საბჭოს (ასე ეწოდებოდა ადრე დღევანდელ სამხატვრო საბჭოს) თავმჯდომარე ვიყავი, ის კი მისი წევრი იყო. შემდეგ უფრო დავახლოვდით მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციაში, რომლის ღონისძიებებშიც მუდამ ცხოველ მონაწილეობას იღებდა. თეატრისა და სექციის ირგვლივ ბევრი მოღვაწე ქალი, განსაკუთრებით მასწავლებლები და სკოლამდელთა აღმზრდელები იყვნენ შემოკრებილნი. ახლაც თვალწინ მიდგას გამხდარი, საშუალოზე ცოტა მაღალი, ენერგიული, მუდამ შემართული, პირდაპირი, კამათში ენამახვილი და ფხიანი ქსენია ჯუღელი. ყველაზე უფროსი იყო ის მაშინ და ყველაზე მშფოთვარე, ტემპერამენტიანი, პრინციპული, თავის შეხედულებებისათვის ბრძოლაში შეუპოვარი, თანმიმდევარი. მშვენიერი პედაგოგი იყო, განათლებული, ნიჭიერი, მხატვრული გემოვნების მქონე, ბავშვის აღზრდის საკითხებში კომპეტენტური. კამათსა და დავაში არაფერს სთმობდა იოლად. ხასიათით მას ძალიან ჰგავდა მისი ახალგაზრდა მეგობარი ანიკო, რომელიც ერთი შეხედვით ზედმეტად მოკრძალებული ჩანდა, მაგრამ თავის აზრს მუდამ ჯიქურად იცავდა და ლოგიკურად, მოხდენილად ასაბუთებდა. მე არ ვიცი ქსენია ჯუღელის გავლენით გამოუმუშავდა ეს თვისებები, თუ ანიკოსაც თავისთავად მოსდგამდა, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ეს ორი — უფროსი და ახალგაზრდა მეგობარი — ერთობლივი პოზიციით გამოდიოდნენ და ბოლომდე ერთნაირად პრინციპულნი რჩებოდნენ, დაურწმუნებლად დათმობა არ შეეძლოთ.

ხასიათის ეს თავისებურება განსაკუთრებით შვენოდა ახალგაზრდა ანიკოს... ეს შემართება, პირუთვნელობა და თავისი აზრის ენერგიული დაცვის უნარი მან დღემდე შეინარჩუნა და ახლა, როცა სამოცდაათ წელს მიაღწია, ხასიათის ეს თავისებურება არა ნაკლებ შვენის, ვიდრე მაშინ, როცა 25-30 წლისა იყო.

ანიკო ღვინიაშვილი კვლავ აღსავსეა ენერგიით და ფართო შემოქმედებითი გეგმები აქვს დასახული. ვუსურვებთ მათ განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ მრევლიშვილი

# მოულოდნელი დიალოგი

იმ ზაფხულს ექიმებმა მირჩიეს სექტემბერი სოხუმში გამეტარებინა და ზღვით მესუნთქა. მიიწურა ცხელი ზაფხული. დადგა სექტემბერი. ავიკრიფე გუდა-ნაბადი და გავუდექ გზას.

მატარებელი „თბილისი-სოხუმი" მესამე ლიანდაგზე იდგა და მეც ჩემი „კუს ნაბიჯით" კარგა ხანს მოვუნდი ამ მანძილის გავლას. როგორც იქნა ავბობღდი რბილი ვაგონის კიბეზე და გავყევი ვიწრო დერეფანს. ვაგონი უკვე სავსე იყო მგზავრებით და გამცილებლებით. მე, ჩემთვის განკუთვნილ კუპესთან გავჩერდი და იქვე ფანჯარასთან სათადარიგო სკამზე ჩამოვჯექი, რადგან კუპე სავსე იყო გამცილებლებით.

დიდხანს არ დამჭირვებია ცდა.

ჩემს კუპეში დარჩნენ: ახალგაზრდა მანდილოსანი, ცქრიალა გოგონა და კულულებიანი პატარა ბიჭუნა. „ალბათ მოუსვენარი მგზავრობა მომელის", გავიფიქრე ჩემთვის და სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩავაგდე.

მატარებელმა უმატა სვლას. ვაგონში ბჟუტია ნათურები აინთო. მგზავრების ჩურჩული მხიარულმა ბაასმა შეცვალა, ზოგან სიცილიც გაისმა, სადღაც ვიღაცამ წაუმღერა კიდეც. ერთი სიტყვით, მგზავრობა ბორბლებით ნაკარნახევ რიტმს მიენდო.

— შეიძლება? — ვიკითხე მობოდიშებით და კუპეში შევედი.

ქალი, ფანჯრის შუშას მიწეპებულ ბავშვებს რაღაცას უხსნიდა. ფანჯრის მიღმა, ქალაქის საწარმოო უბნის სურათები ერთმანეთს ცვლიდნენ და ანძებზე ჩამოკიდებული ნათურები ღამის წყვდიადიდან ამოზიდულ საგნებს უცნაურად ლანდავდნენ.

ჩემ შეკითხვაზე ქალი ნახევრად შემობრუნდა და თბილი, სანდომიანი ხმით მიპასუხა:

— მობრძანდით...

მე ჩემი ქვედა საწოლის ნომერი შევამოწმე და უკვე გაშლილი ლოგინის კუთხეში ჩამოვჯექი.

უცნობი ისევ ატიკტიკებულ ბავშვებს მიუბრუნდა. გოგონას შუბლზე გადმოყრილი თმა შეუსწორა. მაგიდაზე დაყრდნობილ და ფანჯარაში ცქერით გართულ, მწიფე ხორბლისფერკულულებიან ბიჭუნას თავზე გადაუსვა ხელი და ისე ნაზად აკოცა ქოჩორში, რომ ჩემთვის ცხადი გახდა — ახალგაზრდა მანდილოსანი დედა იყო ამ ბავშვებისა.

დედა-შვილების ალერსით გართული ვერც კი ვგრძნობდი, როგორ მიჰქროდა დრო, როგორ ტოკავდა ჩემი ჩანთა მოვარაყებულ სახელურზე, როგორ დავტოვეთ ქალაქის შემოგარენი და როგორ გაწვა ჩვენი სწრაფი მატარებელი მცხეთის გზაზე.

— დედა, ნახე რა ლამაზია! — შეჰყვირა გოგონამ.

— ჰო, ლამაზია... ძალიან დიდი ნაძვის ხეა, ხო, დედიკო?.. — წამოიძახა ბიჭუნამ და დედას ხელი ყელზე მოჰხვია.

— არა, შვილო, ეგ ძველისძველი ტაძარია, ჯვარს უწოდებენ. — აუხსნა დედამ.

— რატომ? — დაინტერესდა ბიჭუნა.

— იმიტომ, რომ იმ ტაძარში სანთლებს ანთებდნენ ბერები, არა, დედა? — აუხსნა გოგომ პატარა ძმას.

— რატომ? — კვლავ იკითხა ცნობისმოყვარე ბიჭუნამ და გემრიელად დაამთქნარა.

— იმიტომ, რომ ზურიკომ უნდა დაიძინოს ახლა. აბა, მითხარი, რომელ საათზე იძინებს ზურიკო? — ჰკითხა დედამ ალერსიანად ბიჭს.

— რვაზე... — მორცხვად უპასუხა ხორბლისფერთმიანმა.

— ნახე, ნინო, რომელი საათია ახლა? — მიუბრუნდა დედა გოგონას.

ნინომ დედის მაჯის საათს დახედა და უმალ უპასუხა:

— ათია, დედიკო!

— ღმერთო მომკალი — ნაძალადევი კილოთი შეიცხადა დედამ, — ეგ რომ გაიგოს ზუკო პაპამ არ ეწყინება?! როგორ ფიქრობ?! რვაზე უნდა დაწოლილიყავ, შენ კი, ათზედაც არ გძინავს, იცი რამდენი დრო დაკარგა შენმა თვალებმა?

— არა... — კერპად მოუჭრა ზურიკომ.

— ათს რვა გამოაკლე, ბიჭო, — ყურში ჩასჩურჩულა ნინომ.

ბავშვმა თითები ატოკა. დედა უცდიდა ღიმილით.

— ვიცი, დედიკო, ორი! — წამოიძახა გახარებულმა ზურამ და დედას მიეკრა მკერდზე.

— ნინო, მოდი ხელები დავიბანოთ, მერე საწოლში ორივე! აბა, ჩქარა! — ბრძანა დედამ და ბავშვებით კუპე დასტოვა.

იყო რაღაც ანდამატივით მიმზიდველი ამ უცნობი ახალგაზრდა დედის ალერსში, მის თბილ კილოში, მის ღიმილში და სოლიდურ მიხრა-მოხრაში, სათნოებით სავსე თვალებში, კდემამოსილ სიფაქიზეში და, თუ გნებავთ, ზღვარის დამდებ სისადავეში.

თანამგზავრები ჩქარა დაბრუნდნენ კუპეში და უყოყმანოდ ძილის თადარიგს შეუდგნენ:

— აბა, ზურიკო, გაიხადე!.. შენ აი, აქ, ქვედა საწოლზე დაწვები...

— შენთან, დედიკო, — წაიზლუქუნა ზურიკომ.

— არა, შვილო, ვერ მოვისვენებთ. მე და ნინო ზევით დავწვებით, ჩვენ ხომ იქ ორი საწოლი გვაქვს, თუ რამ დაგჭირდეს, შემომძახე. აი, შენი ღამის პერანგი. აბა, ჩქა-

რა, ჩემო ვაჟკაცო!.. — უთხრა დედამ და შუბლზე აკოცა ბიჭუნას.

— ქალბატონო, იქნება მე ავსულიყავი ზედა თაროზე?

— რასა ბრძანებთ, ზურიკომ მშვიდი ძილი იცის, დილამდე არ გაეღვიძება, მეც ზევით მირჩევნია, მიჩვეული ვარ. — მითხრა უცნობმა ღიმილით და მერე ქალიშვილს მიუბრუნდა:

— შენ რაღას უცდი, ახტი ზევით!

ჩქარა კუპეში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. დედამ საბნები გაუსწორა ბავშვებს და მზერა ჩემზე გადმოიტანა. ვიგრძენი, ჩემი კუპეში დარჩენა უხერხულობას იწვევდა და უჩუმრად ისევ დერეფანს დავუბრუნდი. ჩემს უკან კუპეს კარი გორგოლაჭებზე გაგორდა და გადაიკეტა.

დერეფანში არავინ იყო. ღია ფანჯრის რაფას დავეყრდენ, სიგარეტს ცეცხლი მოვუკიდე და გულგრილად ჩავაშტერდი სიფერმკრთალეში აცეტებულ უცნაურ ჩრდილებს.

სექტემბრის მთვარე მიბნედილ შუქსა ჰფენდა უსაზღვროებას. ამ შუქთფენაში სავნები ხან სამკუთხედის ფორმას იღებდნენ, ხანაც რგოლებად გადაჯაჭვული, აბრაკადაბრას გაგონებდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ კარი ისევ ხრიალით გაიღო. ამ ხმაურმა შემომაბრუნა, ჩემს წინ იდგა სადა ხალათში გამოწყობილი თანამგზავრი ჩვენი კუპედან.

ჩემი უცნობი გაკვირვებით შემომცქეროდა. ხან შუბლშეკრული მიცქერდა და ხან მიღიმოდა. თითქო რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა. ბოლოს მაინც გაბედა და მობოდიშებით შემეკითხა:

— თქვენ მიხეილი ბრძანდებით, მგონი არა?

— დიახ... — გავუღიმე თავაზიანად.

— ბატონო მიხეილ, რა სანატრელი შეხვედრაა!

— დავბერდი, შვილო! — ამოვიოხრე უნებურად.

— რასა ბრძანებთ, სულით ძლიერი არასოდეს არა ბერდება, რა დროს თქვენი დაბერებაა!

— მამხნევებთ განა?! — ალერსიანად მივმართე ჩემ მობაასეს, თან ფანჯარასთან აკეცილ სკამზე მივუთითე: — დაბრძანდით, ცოტა, დაისვენეთ, დაიღლებოდით.

— სიამოვნებით, — დამეთანხმა სტუმარი და მითითებულ სკამზე ჩამოჯდა.

— პატივცემულო მიხეილ, ერთ სიგარეტს თუ გაიმეტებთ, — შემომესმა მეზობლის ხმა.

— ინებეთ! — დაუყოვნებლივ გავუწოდე კოლოფი ქალს, თან სანთებელა ავუნთე და მივართვი სიგარეტის მოსაკიდებლად.

— ეწევით? — შევეკითხე სტუმარს ფრთხილად.

— იშვიათად, როცა დარდი შემომაწვება ან ნერვები დამეჭიმება.

— ეგ ყველაფერი ტყუილია, მოგონილია, ორმოცდაათი წელია ვეწევი და ყოველდღე ჩემს თავს ზღაპრებით ვატყუებ. ხან ნერვები, ხან სევდა და ხან არაფერი. დამიჯერეთ, ცუდის მეტი თამბაქოში არა არის რა. მაპატიეთ. სიგარეტი მოყირჭებულ საყვარელსა ჰგავს, თან გინდა თავი დაანებო, თან ვერა სთმობ, გგონია, რომ შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ არარაობას!

— კარგია... არარაობას... — ჩაიჩურჩულა ქალმა და გრძელი ნაფაზი დაარტყა.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გამყოლმა და ვიღაც რკინიგზის მუშაკმა წყნარი ბაასით ჩაგვიარეს.

— ვფიქრობ, ცოტა უხერხულია, — დავიწყე და უნებლიედ ისევ სიგარეტს დავუბრუნდი.

ქალმა წარბები ასწია, დამაცქერდა გაკვირვებული.

— რა არის ვითომ უხერხული?

— თქვენ მე მიცნობთ, მე თქვენ არა...

— თქვენი ერთგული მკითხველი და მაყურებელი...

— ეგ ცოტაა.

— მშობლები ეკას მეძახიან, დაბადების მოწმობაში ეკატერინედ ვითვლები. ბარათაშვილის „ცისიერთან“ სამწუხაროდ არაფერი არ მაკავშირებს. წელს, ივნისში... ერთი სიტყვით... პროფესიით, წარსულში, ინგლისურის მასწავლებელი. ეს პროფესია, ამჟამად დედის ხელობით შევცვალე. საკმარისია, პატივცემულო მიხეილ? — შემეკითხა ცელქი ღიმილით მობაასე.

— ჩემო ეკა, ნება მომეცით მეც მამასავით გიწოდოთ შემოკლებული სახელი.

— რასა ბრძანებთ, სიამოვნებით!

— ჰოდა, აი, თქვენა სთქვით, რომ მასწავლებლის კეთილშობილი პროფესია დედის ხელობით შესცვალეთ, არა?

— დიახ!

— გამოდის, რომ დედობაც პროფესიაა და არა ქალისათვის თანდაყოლილი, ბუნებრივი მოვალეობა.

— ერთი მეორეს ხელს სრულებითაც არ უშლის. პირიქით, ერთი მეორეს ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს.

— მთავარია აქ მასშტაბები, ჩემო ეკა, მასწავლებელი თაობებს ზრდის, დედა ჩვენს დროში, სამწუხაროდ, ან ერთს, ან ორს.

— არა, ბატონო მიხეილ, მთავარი აქ ხარისხობრივი მასალაა.

— გეთანხმებით. პირველი სიტყვა კი ამ საქმეში დედას ეკუთვნის.

— დედაჩემი მეტყოდა ხოლმე: — შვილო ეკა, არ დაგავიწყდეს შვილის აღზრდა ორსულობიდან იწყებაო. არ შეაჩვიო ნებივრობას, იმოძრავე, საქმე აკეთე, მცონარა არ დაგებადოსო. — შემდეგ ეს აზრი, ჩვენ გაზეთებში დაბეჭდილმა, რომელიღაც მეცნიერის წერილებმა დამიდასტურა. გამიკვირდა, საიდან ჰქონდა უპრეტენზიო დიასახლისს ასეთი ალღო.

— მართალი უთქვამს, დალოცვილს. ჩვენი ცხოვრების სათავე შრომა იყო, შრომაა და მომავალშიც შრომა იქნება.

— გეთანხმებით, მაგრამ, განა, დედის შრომა შრომა არ არის?

— და მერე, მაგას ვინ უარყოფს?

— თვითონ ქალი, თვითონ დედა უარყოფს მას.

— ჩემო ეკა, ეგ მოსაზრება ჰიპერბოლად უნდა ჩავთვალოთ.

— რათა ვითომ... განა წეღან თვითონ არა ბრძანეთ — დედა ჩვენ დროში, სამწუხაროდ, ან ერთსა და ან ორ შვილს ზრდისო?

— ერთი შვილის დედობასაც დედობა ჰქვია!

— არა, არ ჰქვია, დედობა, პატივცემულო მიხეილ. ერთშვილიანი ოჯახი უმთავრესად სარეველას საბუდარია. პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო შეძლებულია ოჯახი, მით მცირეა შვილიანობა. კომფორტს შეჩვეული ქალების უმრავლესობა ერთი შვილით კმაყოფილდება და იზრდება დედისერთა ფუფუნებაში, აღარ იციან მშობლებმა ეს ტიკინა როგორ მორთონ, როგორ გაართონ. მამა ამ დროს ცრემლებსა ღვრის გაშლილ სუფრაზე: — არა ვმრავლდებით, ვიღუპებით, ერი წყდებაო!.. მისი პირმშო კი, ნებივრობით წაქეზებული, შრომა-გარჯას შეუჩვეველი, სარეველად-ღა ედება ხალხის მონაგარს.

— მაგითი ვითომ რა გინდათ სთქვათ, მრავალშვილიან ოჯახში არ გამოდიან უქნარები?

— როგორ არა, მაგრამ აქ უკვე მხოლოდ დედაა დამნაშავე, მან ვერ შესძლო ყველაფერის გაკეთება შვილების ალსაზრდელად.

— ჩემო ეკა, თქვენ გამორიცხავთ მრავალშვილიანი ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობას, მარტო მამის შემოსავალი ვერ გასწვდება უამრავ ხარჯებს, ამ შემთხვევაში დედა უკვე ვალდებულია სამუშაო ეძებოს და ქმარს მხარში ამოუდგეს. გარდა მაგისა, საბჭოთა ქალს არ სურს დასთმოს თავისი პოზიციები საზოგადოებრივ სარბიელზე, იქნება ეს საფეიქრო დაზგასთან თუ საოპერაციო მაგიდასთან.

— რაც შეეხება შვილიანობის განსაზღვრას, ეს საკითხი ცოლ-ქმარმა უნდა გადაწყვიტოს შესაძლებლობის მიხედვით. ვთქვათ, თუ ქმარი სვამს და ხელფასის ნახევარიც არ მოაქვს შინ, ან ცოლი, მოდას აყოლილი, თავის ხელფასს კაბებსა და მაღალყელიან წაღებში ნთქავს, ასეთმა წყვილმა შვილი არ უნდა იყოლიოს. ანდა საეჭვო საქმოსანმა, რომლისთვისაც ფულის ნაკადი რომელიღაც ვიწრო ბილიკზე აუკილებლად შეწყდება, ან ავადმყოფმა და ძაბუნმა და ასე შემდეგ... სად ჩამოვთვალო!

— ერთი სიტყვით, გინდათ წესრიგი შეიტანოთ თანამედროვე ოჯახის კეთილყოფაში, არა, ეკა?

— პატივცემულო მიხეილ, მე არაფერი არ მინდა, მაწუხებს მხოლოდ ახალგაზრდული ოცნების გაცამტვერება, დამსხვრეული სიყვარული, მწარე ცრემლები და, რაც ყველაზე მთავარია, ცოცხალ მშობელთა დაობლებული ბავშვები. ასეთები ათასობით არიან და ცრემლით სავსე, ნაღვლიანი, სევდიანი თვალებით გასცქერიან მყუდრო ქუჩას და უცდიან მამას ან დედას, ან ორივეს. რა



ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზღვრო მწუხარებაა მათ მიფერფლილ გამოხედვაში, შემზარავია პირდაპირ... რაც შეეხება საბჭოთა ქალის პოზიციებს, აქ ფლაგმანი მაინც დედაა!

ჩასწერეთ დედაც პროფესიათა სიაში, თუ გნებავთ, როგორც მცირეწლოვანთა აღმზრდელი, დაუწესეთ რაღაც ჯილდო კარგი შვილების აღზრდისათვის. გამოიყვანეთ ქალი-დედა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

— ათი შვილის აღმზრდელი დედა, „გმირი-დედა" საზოგადოებრივ აღიარებას არ ნიშნავს?

— ნიშნავს, მაგრამ გმირი-დედა ზღვაში წვეთია. ემანსიპაცია ქალების უმრავლესობამ ცალმხრივ გაიგო, კერას გაექცა, ერთადერთი შვილის მოვლა ბებიას და პაპას აჰკიდა. მოხუცები ანებივრებენ შვილიშვილს, გრილი ნიავი რა არის, ამ ნიავსაც არ აკარებენ, ეშინიათ თვალისჩინი არ გაუცივდეთ. ღმერთმა ნუ ქნას, საყვედური დაიმსახურონ მშობლებისა. მოვა დედა სამსახურიდან ქანცმიხდილი, გამოფიტული. შემოეხვევა შვილი დედას გახარებული, აუცოცდება კალთაში და ატიკტიკდება, მშობელს კი ამ დროს საბეჭდი მანქანის მომქანცველი კლავიშები ეჩხირება თვალებში. ქალი შვილს ფრთხილად მოიშორებს. დანაყრდება, ცოტას წასთვლემს. რვა საათზე უსათუოდ უნდა წავიდეს მორიგ კრებაზე. სადღა რჩება დედაშვილური ალერსის და ზღაპრების დრო.

— ეგ ეპოქის მაჯისცემაა, ჩემო კარგო, მბეჭდავი ქალი იქნება ის თუ მეცნიერი, ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში.

— ამ პროცესში, მე მგონია, დედასაც შეაქვს დიდი წვლილი. მე მაგალითად არ გავცვლი ჩემ პატარა სამზარეულოს, სადაც პირველი პირობა სისუფთავე და ლაზათია, არავითარი ლაბორანტის პროფესიაში, დღევანდელ ქალს კი, იშვიათი გამონაკლისით, სამზარეულო შეურაცხყოფად მიაჩნია, ახლადშობილის ჩვრების რეცხვა აუტანელ ტანჯვა-წამებად, მამა-პაპური აკვანი ანაქრონიზმად, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე არა ერთი ჯანსაღი და ტანწერწეტა ქალ-ვაჟი გამოუზრდია ქვეყნისათვის.

— თქვენ, ჩემო ეკა, როგორც გატყობთ პატრიარქალურ ოჯახს ეტრფით.

— ბავშვების მოვლა-პატრონობას და მათ აღზრდას დღის ურღვევი განაწესი სჭირდება, მე ვიტყოდი, სანატორული რეჟიმი. დროზე კვება, დროზე ძილი, დროზე გართობა და ვარჯიში. უკანასკნელში მე ვგულისხმობ, ზღაპარს თავისი ჟამი აქვს და ანბანს — თავისი. ამ პირობებში დედის თვალი კარგად არჩევს თავისი პირმშოს ხასიათში უარყოფით მიდრეკილებებს, ყოველგვარი წივილ-კივილის გარეშე, მშვიდად და აუჩქარებლად ცდილობს ამ ნაკლის აღმოფხვრას კვალდაუმჩნევლად. და ეს მხოლოდ ერთი პირობით, თუ ოჯახში სიამტკბილობა სუფევს და ურთიერთ პატივისცემა. ყოველგვარი აურზაური ოჯახში, განსაკუთრებით მშობლებს შორის, ტკივილს აყენებს ნორჩების გულს, ტკივილის კვალი ხშირად ისეთი ღრმა არის, რომ სიკვდილამდე გაჰყვება თან. პატივცემულო მიხეილ, თუ ეს ჩემი მოსაზრებანი პატრიარქალურ ოჯახსა ჰგავს, მაშინ მე მართლაც მამაპაპური ოჯახის ტრფიალი ვარ!..

— არ დაგავიწყდეთ, ეკა, რომ დასაქმებულთა ნახევარი კავშირში ქალთა სქესია, ოჯახი კი, რომელიც თქვენ აქ დამიხატეთ, მატერიალურად უზრუნველყოფილ და ყოველმხრივ განათლებულ, იდეალურ დედას მოითხოვს, დედას, რომელიც თავის მხრივ იდეალურ შთამომავლობას გამოგვიზრდის.

— თქვენ აჭარბებთ, პატივცემულო მიხეილ, დედობა მოწოდებაა, დედობა ხელოვნებაა, უაღრესად მაღალი და პასუხსაგები. კარგი დედა უბადლო მოქანდაკეა იმ განსხვავებით, რომ მოქანდაკე ცივი ლოდიდან აქანდაკებს სულიერის ასლს, დედა ცოცხალ ორიგინალს ძერწავს. რაც შეეხება ყბადაღებულ სამზარეულოს — რომელ ხელობას არა აქვს თავისი სამზარეულო.

დედობა დიდი მსხვერპლია, რადგან დედას ვერავინ შეცვლის, ვერც ბაგა-ბაღი, ვერც სკოლა. ეს დამხმარე საშუალებანი მხოლოდ ტვირთს გვიმსუბუქებენ. მე ოთხი შვილის დედა ვარ და ოთხივეს თავისებური მიდგომა და მოვლა სჭირდება. ეს არც თუ ისე ადვილია, დამეთანხმებით.

— ყოჩაღ, ქალო!

— მე მეხუთესაც გავაჩენდი, რომ ქმარი არ ამჯანყებოდა, შეეშინდა ვერ გავუძლებთო.

— მატერიალური ბაზისი?

— ქმრის ხელფასით და მამაჩემის პენსიით ვაკოწიწებთ ბოლოს ბოლოსთან. უარს ვამბობთ ყოველგვარ ზედმეტობაზე. ქმარი არა სვამს. მოდას მე არ ვემორჩილები, ვცდილობ მე ის დავიმორჩილო.

— უკაცრავად... განა რამდენი წლისა ხართ?

— ოცდათექვსმეტის შევსრულდი მაისის თვეში.

— კი, მაგრამ როგორ მოახერხეთ ასეთი კარგი აღნაგობის შენარჩუნება ოთხი შვილის აღმზრდელმა დედამ?

— სპორტს მივდევდით მეცა და ჩემი მეუღლეც. სწორედ სპორტმა დაგვაახლოვა. ახლაც ვვარჯიშობთ ყოველ დილით, მაგრამ უკვე ბავშვებთან ერთად, ჩემმა პატარა ზურიკომ ისეთი კარგი ცურვა იცის, გაგიკვირდებათ. მე ალბათ ცოტა ჯიშშიც მომდევს. მამა ახლაც მაღალი და ტანწვრილია წლოვანების მიუხედავად, დედაჩემიც კაფანდარა ტანისა იყო, საწყალი...

— ახლა საით მიემგზავრებით?

— ნინო გამიხდა შეუძლოდ და ექიმებმა მირჩიეს ზღვის ჰაერი მოუხდებაო, ზურიკოც ვეღარ დავუტოვე კაცებს და, როგორც ხედავთ, სამივენი ავიყარენით.

— სანატორიუმში ალბათ, არა?

— არა, დეიდაჩემთან, სოხუმში ცხოვრობს და მუშაობს, ბინად იმასთან ვიქნები, არაფერი გამიჭირდება.

— მოეწყინებათ ალბათ უთქვენოდ შინაურებს.

— მოსაწყენად ვერ მოიცლიან. ჩემი მეუღლე საპროექტო სახელოსნოს ხელმძღვანელია და შინ გვიან ბრუნდება. მამაჩემმა ბაზარი და სამზარეულო იკისრა. კაკო, ჩემი უფროსი ვაჟი, თხუთმეტისაა, კარგად სწავლობს, იმან შეფობა აიღო მომდევნო ძმაზე, ილო ცოტა მოიზარმაცებს, მათემატიკაში ჩამორჩება. ერთი სიტყვით, ოჯახური ფუნქციები გავანაწილეთ. იმედი მაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება.

— უსათუოდ რიგზე იქნება, — იმედიანად დავუდასტურე მობაასეს და ჩავფიქრდი.

— პატივცემულო მიხეილ, რამ ჩაგაფიქრათ?.. — ჩამესმა ყურთ მობაასის მშვიდი შეკითხვა.

— იმაზე ვფიქრობ, ჩემო ეკა, რა რთულია ცხოვრება და რამდენი გადასაწყვეტი პრობლემაა ჩვენს წინ დასმული. აი, ვთქვათ, თქვენი მაგალითი, თქვენი კეთილშობილი მიზანი, — გაუზარდოთ ჩვენს ქვეყანას ღირსეული შთამომავალნი, ამისთვის თქვენ პედაგოგის პროფესიაც კი შესწირეთ და რა გამოდის?.. გამოდის, რომ თქვენ ვალში ხართ იმ წყობილების წინაშე, რომელმაც ხელი მოგიმართათ ამ პროფესიის შეძენაში, უფრო მეტიც, მატერიალურად დაგეხმარათ, რომ შემდეგ თქვენი შრომით დაფარავდით ამ ზრუნვასა და ყურადღებას.

— ცდებით, ბატონო მიხეილ, ჯერჯერობით ჩემ ცოდნას მე ჩემ შვილებზე ვავარჯიშებ, თითოეული მათგანი, ქართულის და რუსულის გარდა, კარგად ფლობს ინგლისურსაც, ასეთ შედეგს მე სკოლაში ვერ მივაღწევდი უპრაქტიკოდ. მეორეც, ეს ვინ გითხრათ, რომ სამუდამოდ ხელი ავიღე მასწავლებლის პროფესიაზე. ჩემი ზურიკო ოთხ წელიწადში ათის გახდება, მერე დაძმანი მოუვლიან ერთმანეთს. დედ-მამის მიერ გაკვალული სუფთა ნიადაგი ურიგო ნაყოფს, მე მგონია, არ გამოიღებს. გარდა ამისა, ჩვენ ხომ მუდამ გვერდში ვედგებით ჩვენ შვილებს და მეც ვეცდები საზოგადოების ის ვალი, რომელიც მაქვს აღებული, ჩემი შრომით გადავიხადო.

ეკა ადგა, მეც ავდექი.

— მაპატიეთ, უთუოდ თავი მოგაბეზრეთ ჩემი ლაქლაქით. მაგრამ, აბა, როგორ გამეშვა ეს შემთხვევა და გულახდილად არ მეთქვა მწერლისთვის რომ დედობა უდიდესი ხელოვნებაა, რომ დედობას მხარდაჭერა და მოვლა სჭირდება, მეთქვა უბრალოდ, გულახდილად და წრფელის გულით!

— რასა ბრძანებთ! მე ქედს ვიხრი ასეთი დედის წინაშე! — ვუპასუხე მობოდიშებით და თანამგზავრს მოწიწებით ხელზე ვემთხვიე.

მობაასემ ძილი ნებისა მისურვა და მარტო დამტოვა.

მე ფანჯრის რაფას დავეყრდენ და ვიგრძენი — დედის სპეტაკი ლეჩაქივით მეფერებოდა ნიავი, მამშვიდებდა, მისალბუნებდა. მატარებელი მიჰქროდა და ნთქავდა თავის კილომეტრებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომპოზიტორი-ვოკალისტი



ის პირველად მწერალთა კავშირის კლუბში გავიცანი. ეს იყო 1966 წლის სექტემბერში, დიდი შოთას იუბილესათვის მზადების დღეებში. მე და ახალგაცნობილმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ნუნუ გაბუნიამ ერთად მოვისმინეთ კომპოზიტორ ვალერიან მაღრაძის მიერ აღდგენილი ძველი მესხური, ხალხური სიმღერები... მან ისეთი მშვიდი და სათნო თვალებით შემომხედა, რომ უნებურად ფიქრში გამიელვა ანტონ ჩეხოვის სიტყვებმა: ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: გარეგნობაც, სულიც, ჩასაცმელიც... ეს ყველაფერი ერთად შევნიშნე მასში... მან გამიღიმა და მითხრა: თქვენს ლექსებზე სიმღერები დავწერეო... როცა კომპოზიტორები ამას მეტყოდნენ, ბავშვივით მიხაროდა, მაგრამ ახალგაზრდა კომპოზიტორის ასეთმა თავდადებულმა სიყვარულმა პოეზიის მიმართ, მისმა უპრეტენზიო შრომისმოყვარეობამ ერთიორად გამახარა... ასე დაიწყო ჩვენი პირველი ნაცნობობა. უფრო მეტად დავინტერესდი მისი მუსიკალური ცხოვრებით. მას არ უყვარს თავისთავზე ლაპარაკი... სამაგიეროდ მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები მეტყველებენ, ყოველდღიური ცხოვრების ექოს გამოსცემენ...

მე მაინც ვეკითხები ნუნუს, როდის დაწერა პირველი მუსიკალური ნაწარმოები...

— ათი წლის ვიყავი, როცა პირველად დავწერე საფორტეპიანო ვალსი, რომელსაც სასკოლო კონცერტებზე ასრულებდნენ... ხოლო მე თვითონ მომისმენია პიონერებთან შეხვედრისას სკოლის გუნდი მის სიმღერებს რომ აგუგუნებდა.

...და იმ საყვარელი სკოლის კედლებში გაშალა ფრთები სანატრელმა ოცნებამ... იგი ხომ ნორჩი პოეტიც იყო, მხატვარიც, მოცეკვავეც... ნიჭი ხომ ყოველთვის პოულობს გამოსავალს — აქ მუსიკამ გადასძლია და სწავლა განაგრძო არაყიშვილის სახელობის თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ სიამოვნებით ჩარიცხა თავის კლასში. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან იგივე გაიმეორა კომპოზიტორმა იონა ტუსკიამ, როცა ნუნუ გაბუნია 1961 წელს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ჩაირიცხა, საკომპოზიტორო ფაკულტეტზე.

რაღაც შინაგანი ხმა უფრო მეტს ითხოვდა გოგონასაგან... სურვილი და მისწრაფება იზრდებოდა. თუმცა მას არ უფიქრია მომღერალი გამხდარიყო... აკი ვთქვი, ეს იყო მხოლოდ შინაგანი წადილი, რომელიც თანდათან ისე გაძლიერდა, რომ გამოცდების წინა პერიოდში ნოდარ ანდღულაძემ, ნადეჟდა ხარაძემ, პროფესორმა შვედოვმა, ვერა დავიდოვამ უწინასწარმეტყველეს ვოკალური ნიჭი. ახლა ვოკალურ ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები... იგი მოწყურებული იყო შრომას... ეუფლებოდა სიმღერას... და აი, ნუნუ საოპერო სტუდიაში ასრულებს ტატიანას პარტიას ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინიდან“, ბესის პარტიას გერშვინის ოპერა „პორგი და ბესიდან“, — ჩიო-ჩიოსანის პარტიას პუჩინის „ჩიო-ჩიოსანიდან“, ბუკიას „არსენადან“ — ნინოს, რახმანინოვის „ალეკოდან“ — ზემფირას და სხვ.

ახალგაზრდა კომპოზიტორის მუსიკალურ ცხოვრებაში ნათელ კვალს სტოვებს ერთი წლით სტაჟირება მოსკოვის დიდ თეატრში... შემდეგ დიდი სიამოვნებით იწყებს მუშაობას საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტში — სოლისტად. იგი აღტაცებით მიამბობს თავისი მუშაობის შესახებ: „სოლისტს რადიოსა და ტელევიზიაში აქვს დიდი შესაძლებლობა



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი თავი გამოავლინოს სხვადასხვა ჟანრში, მე მაქვს საშუალება ვიმღერო საოპერო, კამერული ნაწარმოებები, საესტრადო სიმღერები“.

ნუნუ გაბუნია მოსკოვის დიდ თეატრში იმყოფებოდა, თეატრში, სადაც მღეროდნენ გალინა ვიშნევსკაია, იური ატლანტოვი, ელენე ობრაზცოვა და სხვა გამოჩენილი ვოკალისტები, რომლებიც თავისებურ სტიმულს აძლევდნენ მის ახალგაზრდულ შემოქმედებას.

ახალგაზრდა კომპოზიტორი-ვოკალისტი, თავისი სათნო, მომხიბლველი სიმღერებით, მუდამ მოწონებას იმსახურებს. წელს, ამიერკავკასიის სატელევიზიო ფესტივალზე, ერევანში, სამივე რესპუბლიკის სოლისტებიდან, ნუნუ გაბუნია დაჯილდოვდა სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის სპეციალური პრიზით, პრესა კი წერდა: „განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ შესანიშნავი მომღერალი ნ. გაბუნია, მან ბრწყინვალედ შეასრულა ა. ჯემიანის „რომ მცოდნოდა“ და საკუთარი სიმღერა „მეორე ლეგენდა“, რომელიც მის უდაო კომპოზიტორულ ნიჭზე მეტყველებს“... აი, ჩემი უპრეტენზიო, სადა, გულწრფელი, უმცროსი მეგობარი... — ვფიქრობ ყოველთვის, როცა მას ვხვდები, გარეგნულად მშვიდი, დამაჯერებელი, წყნარი საუბრის მიღმა — შთაგონება, გრძნობათა სიუხვე, ჰარმონია სულისა, რომელიც მელოდიებში გადადის... ჩვენ ვსაუბრობთ პოეზიაზე, მუსიკაზე, შემოქმედებით გეგმებზე, და ეს თავისთავადი ხელოვანი ავსებს ჩემს სულს.

შემოქმედის პირუთვნელი მსაჯული ხომ ხალხია, ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ „სიმღერა — 74-ის“ ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე გამოტანილი მისი სიმღერები: „მეორე ლეგენდა“ ა. გელოვანის ლექსზე, „ქვეყანა ჩემი მგონია“ (ლექსი ლ. ნუცუბიძისა), „არყის ხე“ (ესენინის ლექსზე), მსმენელთა წერილების მიხედვით, აღიარებული იქნა წლის საუკეთესო სიმღერებად.

მისი სიმღერა „არყის ხე“ ხალისით შეიტანეს თავიანთ რეპერტუარში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ლიუდმილა ზიკინამ და რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა იური ბოგატიკოვმა. რაღა თქმა უნდა, ცნობილი ქართველი მომღერლები: ლილი გეგელია, თენგიზ ზაალიშვილი, ჩიტოლია ჩხეიძე, ნანი ბრეგვაძე, ნანული აბესაძე, ეთერ კაკულია, ვენერა მაისურაძე, ნიკო ჯადუგიშვილი, თემურ ცაგურია და სხვები სიამოვნებით ასრულებენ ჯანსაღი ლირიზმით აღსავსე მის სიმღერებს: „მე შენთან მოვალ“, „ქვეყანა ჩემი მგონია“, „რაც უფრო შორს ხარ“ (გალაკტიონის ლექსი), „მაინც მემღერება“ (პ. გრუზინსკის ლექსი), „კვლავ გამიღიმე“, „მშობლიურ მთებზე“, „სამშობლოს გაზაფხული“, „გიყვარდეს ჩემი სიმღერა“ (ამ წერილის ავტორის ლექსებზე), „ბედის ვარსკვლავო“, „ნუ იგვიანებ“, „ისევ მოვა გაზაფხული“ (გვიშიანის ლექსზე)... მათი რიცხვი ასზე მეტია. რადიო-ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სოლისტი ნუნუ გაბუნია სიყვარულით მღერის როგორც თავისას, ისე სხვა კომპოზიტორების სიმღერებს...

ნ. გაბუნიას შემოქმედება მრავალფეროვანია, იგი ჰქმნის მუსიკას ახალციხის დრამატული თეატრისათვის მარიკა ბარათაშვილის პიესაზე — „ფრთხილად! სასიკვდილოა“, აგრეთვე მუსიკას მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლისათვის — „გაყრა“, თელავის და საგარეჯოს თეატრებისათვის, თოჯინების თეატრისათვის — „ფიფქიას სკოლა“, მულტფილმებისათვის — „კალეიდოსკოპი“, „სახლობანა“, „მონადირენი“, „ლურჯა“, „ყოჩაღი ბაკურის თავგადასავალი“ და სხვა.

არასოდეს დაავიწყდება ახალგაზრდა შემოქმედს კონცერტები კრემლის ყრილობათა სასახლეში, ცენტრალურ საკონცერტო დარბაზ „როსიაში“, სვეტებიან დარბაზში.

საკავშირო ტელევიზიით ხშირად ვნახულობთ და ვისმენთ გადაცემას, რომელიც ნუნუ გაბუნიას მიჰყავს...

საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოუშვა ორი სოლო-ფირფიტა: „მღერის ნუნუ გაბუნია“, ხოლო უახლოეს მომავალში გამოვა ფირფიტა „გიგანტი“.

ნ. გაბუნიას შემოქმედებას ავსებს და ალამაზებს საბავშვო მუსიკა. მან ახლახან დაამთავრა საბავშვო ოპერა, რომელსაც ქართველმა კომპოზიტორებმა ბავშვთათვის მშვენიერი საჩუქარი უწოდეს. კომპოზიტორს აქვს 55-მდე საბავშვო ნაწარმოები, მისი ყოველი მუსიკალური ფრაზა სადაა და ცხოვრებისეული, შემოქმედს მუსიკა სჭირდება, როგორც წყალი და ჰაერი, იგი ცხოვრობს მუსიკით და თავის გულისთქმას ალალმართლად უბრუნებს მსმენელს.

გულწრფელობით და უშუალობით შექმნა ნუნუმ სიმღერა თბილისზე — „მეორე ლეგენდა“, მას პატარა მომღერალი მაია ჯაბუაც ასრულებს... ეს ფრთიანი სიმღერა სწრაფად გადაევლო მთა-ველს, ბევრი ბავშვი დაამეგობრა ერთმანეთს... იგი ახალგაზრდების საყვარელ საგალობლად იქცა. მღერიან ქართველი ბავშვები, მღერიან სხვადასხვა ერის ბავშვებიც, ამ სიმღერის შესწავლის მსურველებისაგან საკავშირო ტელევიზიამაც მიიღო უამრავი წერილი, სადაც მსმენელები მრავალი შეკითხვით მიმართავენ კომპოზიტორსა და შემსრულებელს. ამიტომ ცენტრალური ტელევიზიის მუსიკალურმა რედაქციამ ცალკე გადაცემა უძღვნა ნუნუ გაბუნიას, სადაც მან ყველა შეკითხვაზე პასუხი გასცა მსმენელებს და მოასმენინა ახალი სიმღერები.

დაე, მუდამ ცხოვრების შუაგულში იდგეს ნუნუ გაბუნიას ჰანგი სამშობლოს სიყვარულისათვის, შემოქმედის ახალი წარმატებებისათვის.

**ელენე დიდიმამიშვილი**

**ლავროსი კალანდაძე**

# რა არის ბედნიერება?

ამ კითხვაზე პასუხი თითქოს ადვილიც არის, რადგან ბედნიერებას, გამოუკლებლივ, ხომ ყველა ელტვის და, ალბათ, თავისებურად ყველა ადამიანმა იცის, რა არის მისთვის ბედნიერება, მაგრამ პასუხი ფრიად ძნელიც არის, რადგან: არის კი ნამდვილი ბედნიერება, რასაც თითოეული ჩვენთაგანი ელტვის? აბა, კარგად დაუკვირდით: ის, რაც თქვენ ამ წუთად ბედნიერებად გესახებათ, სხვისთვის, შესაძლოა, სრულიადაც არ იყოს ბედნიერება. ან კიდევ მეტი — ხვალ-ზეგ თვითონ თქვენთვისაც აღარ იყოს იგი ბედნიერება.

უზომოდ მშიერ კაცს, როგორც წესი, ლუკმა პურის შოვნაც კი ბედნიერებად მოეჩვენება. გაიხსენეთ, ჯეკ ლონდონის მოთხრობა „სიცოცხლის სიყვარული“. ამ მოთხრობის პერსონაჟი — შიმშილისაგან არაქათგამოცლილი და სიკვდილის პირას მისული — ალბათ თავს ბედნიერად ჩათვლიდა, რომ ერთი თეთრი გნოლი ან ერთი ჭიჭყინა თევზი დაეჭირა და უმად შეეჭამა.

ღარიბისათვის მცირეოდენი ნივთიერი მონაპოვარიც კი შეიძლება ბედნიერება იქნეს. ეგნატე ნინოშვილის ივანე ერთი დღით მაინც ჩათვლიდა თავს ბედნიერად, რომ თავისი ტივი უხიფათოდ ჩაეცურებინა ფოთში... ჰემინგუეის მოხუცი სანტიაგოც ბედნიერი იქნებოდა, რომ ოკეანეში დაჭერილი ვეებერთელა თევზი ნაპირამდე მიეტანა და ბაზარზე გაეყიდა, როგორც ოცნებობდა.

პატიმრისათვის განთავისუფლება, როგორც წესი, ბედნიერებაა. გამონაკლისი მხედველობაში არ არის მისაღები. გამონაკლისი, როგორც ცნობილია, წესს ადასტურებს. მაგალითად, ბაირონის შილიონის ტყვე, ვინაც რამდენიმე ათეულ წელს ბნელ დილეგში სვეტზე იყო მიჯაჭვული, იმდენად „შეეზარდა“ ტყვეობას, რომ განთავისუფლების შემდეგ ისევ დილეგში დაბრუნება ირჩია. ცხადია, აქ საქმე განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ კომპლექსს ეხება.

უნდა ვიფიქროთ, ბედნიერება იქნებოდა შეყვარებულისათვის — საპასუხო სიყვარული, დავრდომილისათვის — გამოჯანმრთელება, შურისმაძიებლისათვის — შურისძიება, კარიერისტისათვის — სანუკვარი თანამდებობის დაკავება... ერთი სიტყვით, დასახული მიზნის მიღწევა ყოველ კაცს, ალბათ, ბედნიერებად ესახება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შინაარსისაა თვით მიზანი. და ასე რომ მივყვეთ, სათვალავს ვერ მოვუძებნით ბედნიერების სუბიექტურ გაგებას (მეტწილად შემთხვევითსა და წარმავალს) ანუ პიროვნულ წარმოდგენებს ბედნიერებაზე. თანაც დავინახავთ, რომ ყოველი პირადი ბედნიერების ანუ, უკეთ ვთქვათ, ყოველი წუთიერი პირადი ბედნიერების შინაარსი ყოველთვის დამოკიდებულია დროისა, გარემოსა და თვით ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

მაშასადამე, თუ საკითხს ცალკეულ ადამიანთა წარმოდგენების თვალსაზრისით მივუდგებით, იმდენად სხვადასხვა, ხშირად იმდენად ერთმანეთის საწინააღმდეგო, იმდენად მერყევი და ზოგჯერ საზოგადოებრივად იმდენად საშიში იქნება ამ წარმოდგენათა შინაარსი, რომ კითხვაზე რაიმე გარკვეული პასუხის გაცემას ვერასოდეს ვერ შევძლებთ და კვლავ აღმოვჩნდებით უმწვავესი საკითხის წინაშე: — არის თუ არა საერთოდ შესაძლებელი ადამიანის სრული ბედნიერება ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე? შეიძლება თუ არა მოიძებნოს ბედნიერების ცნების ისეთი ობიექტური შინაარსი, რასაც ასე თუ ისე მყარი და საყოველთაო მნიშვნელობა ექნება?

მოდი, ერთად ვიმტვრიოთ თავი ამ საკითხებზე!

ერთ რამეში, ალბათ, წინასწარ უნდა შევთანხმდეთ: ადამიანის შესაძლებელი ბედნიერება არ შეიძლება არსებობის ცალფა, უკავშირო ძაფი იყოს. იგი შესაძლებელია, ალბათ, როგორც უამრავ ბუნებრივ და ადამიანურ კავშირთა რთული ქსელი. ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ადამიანის ბედნიერებისა არის ის, რომ იგი უეჭველად დაკავშირებულია სიხარულთან, ადამიანის სასიცოცხლო ძალების აგზნებასა, ზრდასა და განვითარებასთან. ჰოდა, არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ ჩემი აზრით, სიხარულისა და სასიცოცხლო ძალების აგზნების, ზრდისა და განვითარების უპირველესი და უმთავრესი წყარო უეჭველად შრომა და სიყვარულია. რასაკვირველია, იგულისხმება არა მონური, არა ნაძალადევი და მტანჯველი შრომა, არამედ შრომა, როგორც სასიცოცხლო მოქმედება, შრომა, რომელიც გიზიდავთ, გიტაცებთ, გიყვართ და ამიტომაც თქვენს აუცილებელ შინაგან მოთხოვნილებად არის ქცეული. ასეთი შრომა არსებითად თავისუფალი შემოქმედებითი შრომაა. სიყვარული? გიყვარდეს და უყვარდე, რა თქმა უნდა, ბედნიერებაა. სიყვარული აგვამაღლებსო, ამბობს ბრძენი შოთა. მაგრამ სიყვარული არა ვიწრო გაგებით, არამედ სიყვარული ყოვლისმომცველი, წრფელი და უანგარო, სიყვარული ადამიანთა, სიყვარული ამ ცის, ამ მიწის, ამ ქვეყნის. სულმნათმა აკაკიმაც ხომ გვიანდერძა: „გიყვარდეთ თქვენი სამშობლო... თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება, მაგრამ მისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს“.

ამრიგად, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ბედნიერება არის შრომითა და სიყვარულით მონიჭებული სიხარული, შრომითა და სიყვარულით გაღვიძებული სასიცოცხლო ძალები? ვფიქრობ, შეგვიძლია ასე ვთქვათ, მაგრამ ეს მაინც უკმარი და არასრული წარმოდგენა იქნება ბედნიერებაზე.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და კვლავ უნდა შევთანხმდეთ, რომ იგი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ მის ირგვლივ მყოფნი (ვთქვათ, დედა, მამა, ძმები, დები, შვილები და სხვა მრავალნი) უბედურები იქნებიან; შეუძლებელია ბედნიერი იყოს ადამიანი, თუ ის საზოგადოებრივი წრე, რომელსაც იგი ეკუთვნის, დაჩაგრული და დაჭცირებულია, თუ ის ქვეყანა და საზოგადოება, რომელშიაც ის ცხოვრობს, დაპყრობილი, დამონებული და უკუღმართად არის აგებული. მაშასადამე, ადამიანის ბედნიერება საზოგადოებრივი ხასიათისაა. ყოველი პირადი ბედნიერება ყოველთვის დამოკიდებულია გარკვეული საზოგადოებისა თუ საზოგადოებრივი წრის კეთილდღეობაზე.

არ შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანი, რომლის შრომის ნაყოფს სხვა ითვისებს. არ შეიძლება ბედნიერი იყოს უსახსრო და მშიერ-მწყურვალი ადამიანი. ამიტომ ვიცრუებდით, თუ ვიტყოდით, რომ ნივთიერი კეთილდღეობა არ არის ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთი არსებითი ნიშანი. მაგრამ ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში სუფევდა და მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ახლაც სუფევს უთანასწორობა და უსამართლობა საზოგადოების ნივთიერი დოვლათის განაწილებაში. როგორც წესი, ნივთიერ კეთილდღეობას მოკლებულნი იყვნენ სწორედ ის ფენები, რომელთა შრომით იქმნებოდა და იქმნება საზოგადოების მთელი სიმდიდრე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ მშრომელი ფენების საერთო წარმოდგენა ბედნიერებაზე, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბრძოლასთან უკუღმართი საზოგადოებრივი წყობილების დანგრევისათვის და საზოგადოების ისე მოწყობისათვის, რომ ადამიანმა ადამიანი ვერ დაიმონოს, სხვამ სხვისი შრომა ვერ მიითვისოს და ყველას თავისი ადამიანური ძალების თავისუფალი გამოვლენისა და განვითარების საშუალება ექნეს.

ჩვენ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის გამოცდილებით ვიცით, რომ ძველი ექსპლოატატორული წყობილების დანგრევა საზოგადოების უდიდესი ძალების ხარჯვასა და უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ, როგორც ჩანს, არანაკლებ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და უფრო ხანგრძლივი, უფრო რთული პროცესიცაა ახალი საზოგადოების ისე მოწყობა, რომ ადამიანთა კეთილდღეობა სრული და საყოველთაო იყოს.

ერთ თავის ლექსში მაიაკოვსკი ამბობს, რომ სიხარულისა და ბედნიერებისათვის ჩვენი პლანეტა ჯერ კიდევ ნაკლებად არის მოწყობილიო. ვფიქრობ, ეს აზრი დიდხანს დარჩება ძალაში. მართლაც, ადამიანთა დღევანდელი სამყარო არამც თუ სრულყოფილი არ არის, არამედ საკმაოდ მანკიანიცა და ნაკიანიცაა. ბევრ, ჯერ კიდევ დაუმარცხებელ ჭირსა და უკუღმართობაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმის საბუთად, თუ რაოდენ არამტკიცე და საჭოჭმანოა ადამიანის ბედი თანამედროვე მსოფლიოში, ისიც კმარა, რომ კაცობრიობამ ჯერ კიდევ ვერ გამოთიშა ადამიანების, სხვადასხვა წრეებისა და ქვეყნების ურთიერთობაში ომი, მკვლელობა, სისხლისღვრა, დაპყრობა და დამონება. არიან კი ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, მიდრეკილება ომისა და მკვლელობისაკენ ადამიანის ბუნების უკურნებელი თანდაყოლილი თვისებააო. ასე რომ იყოს, ადამიანის საშველი მართლაც არ იქნებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ადამიანი და მისი ბუნებაც ისტორიული განვითარების ნაყოფია. იყო ცხოველური წინაპარი ადამიანისა და მისგან განვითარდა ადამიანი. გარემო პირობების ცვლა-განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება ადამიანიც, მისი ბუნებაც. ადამიანს უეჭველად ძალუძს გარემოს გარდაქმნა-გაუკეთესება და თავისთავის გაუკეთესებაც.

სხვაფრივ, კი ჩემი აზრით, ომის, მკვლელობის, დამონების წყურვილი, მართლაც, ღი-

დად არ არის გაცილებული კაციჭამიობის დონეს.

ეჭვი არ არის, რომ დღეს ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე და ყველაზე ჰუმანური ნაწილი კაცობრიობისა ამაღლებულია იმის შეგნებამდე, რომ არ არსებობს უფრო დიდი, კეთილშობილი დანიშნულება და, მაშასადამე, უფრო დიდი ბედნიერება ადამიანისა, ვიდრე ბრძოლა და შრომა იმისათვის, რომ ცხოვრება დედამიწაზე მოეწყოს ადამიანთა საკეთილდღეოდ.

ასე მგონია, დაახლოებით ბედნიერების ასეთ გაგებას გულისხმობდა კარლ მარქსი, როდესაც მის დროს გავრცელებული ანკეტის ერთ-ერთ კითხვაზე — „თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე“ — უპასუხა „ბრძოლა“.

მაგრამ ბრძოლა დედამიწაზე. ცხოვრების უკეთ მოსაწყობად — —საოცრად დიდი მასშტაბია, არა? იქნებ თქვათ, ამისთვის მხოლოდ გენიოსები არიან მოწოდებული, ჩვეულებრივი ადამიანები სად გაწვდებიან ასეთ დიდ ამოცანებსო.

არა. საქმეც ის არის, რომ ამ დიდი მასშტაბიდან ყოველმა ჩვენთაგანმა იწილადოს თავისი ნაკვეთი, რომ თავის უბანზე იბრძოლოს, იშრომოს ქვეყნის გაუკეთესებისათვის ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, თუ ერთი აგური არა, ერთი კენჭი მაინც მიიტანოს ადამიანთა კეთილდღეობის საშენებლად. მით უმეტეს: აკი ამბობენ და, ვფიქრობ, სამართლიანადაც ამბობენ, ყოველი ადამიანი მთელი პატარა სამყაროაო. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ პირადი კეთილდღეობა არსებითად ნაწილია ქვეყნის, საზოგადოების კეთილდღეობისა. მხოლოდ სულიერი სიყრუვით დაავადებულ და ერთობ გადამძლარ მეშჩანს ჰგონია, რომ მისი კეთილდღეობა საიმედოდ არის ჩაკეტილი მის განკერძოებულ ნამცეცა სამყაროში, მის ზიზილ-პიპილებიან ოთახებსა, კარადებსა და ყუთებში. მაგრამ უშინაარსო და მოჩვენებითია ასეთი ბედნიერება.

მხოლოდ უანგარო შრომა და ბრძოლა ქვეყნის გაუკეთესებისათვის არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ თვითონ თქვენ უკეთესდებოდეთ, როგორც საზოგადოებრივი არსება, უკეთესდებოდეთ შრომაშა და სიყვარულში ზნეობრივად, გონებრივად, ფიზიკურად, უკეთესდებოდეთ მაღალი ადამიანური იდეალებით. ასეთი თვითგაუკეთესება კი არ შეიძლება არ იყოს უდიდესი სიხარულისა და ნეტარების მომნიჭებელი. იქნებ, ამ ქვეყნად შესაძლებელი უმაღლესი ბედნიერებაც ეს იყოს, როცა ადამიანთა სასიხარულოდ და საკეთილდღეოდ აუკეთესებ, ალამაზებ, ამშვენიერებ გარემოს, აუკეთესებ ქვეყანას, ეჭვს გარეშეა, ამით თავსაც აუკეთესებ. თუ მებაღე მშვენიერ ბაღს აშენებს, იგი თავის სულშიც ზრდის მშვენიერების გრძნობას.

ეს არის და ეს, რაც შევძელი მეთქვა ბედნიერებაზე.

თქვენ რას იტყვით?



# ჩვენი ესტონელი მეგობარი

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ესტონელი მთარგმნელი, ლიტერატორი მერიკე პაუ, რომელიც მშობლიურ ენაზე ინტენსიურად თარგმნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას. ჩვენი ჟურნალის რედაქცია დაინტერესდა მისი მოღვაწეობით. გთავაზობთ ინტერვიუს ესტონელ მეგობართან.

**— ესტონელები მშობლიურ ენაზე პირველად როდის გაეცვნენ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებს და, ამ მხრივ, რა გაკეთდა თქვენამდე?**

— 1941 წელს, როდესაც მარია უნდერმა თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი. ომის დამთავრების შემდეგ კი ესტონელებმა ესტონურ ენაზე წაიკითხეს ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, ხოლო 60-იანი წლებისათვის თარგმნილი იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები.

**— რატომ დაინტერესდით მხოლოდ და მხოლოდ ქართული მწერლობით და სად შეისწავლეთ ქართული ენა. ვისი ღვაწლია გარეული ამ კეთილშობილურ საქმეში?**

— ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ჰყავდა რუსთაველი, მდიდარი სულის საგანძური ექნებოდა. ჩემს ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებდა პუშკინის, ლერმონტოვის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ბლოკის, ესენინის, ტიხონოვის და სხვათა კითხვა. ვრწმუნდებოდი, რომ საქართველო მარტო ეგზოტიკის ქვეყანა როდი იყო, არამედ დიდი ლიტერატურის მხარე, რომელთანაც მეგობრობდნენ საუკუნის პოეტები.

ტარტუს უნივერსიტეტში პროფესორ ბახმანის დახმარებით შევისწავლე ქართული ანბანი, ხოლო 1966 წელს რექტორატის გადაწყვეტილებით ქართული ენის დასაუფლებლად მომავლინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით მინდა მოვიხსენიო ჩემი ქართველი პროფესორ-მასწავლებლები: ნია აბესაძე, სოლომონ ხუციშვილი, ვახტანგ ჭედია და პავლე ხუბუტია, რომლებმაც სრულყოფილად შემასწავლეს ქართული ენა და ლიტერატურა.

**— ქართული ლიტერატურიდან ესტონურ ენაზე მხოლოდ თქვენ თარგმნით. გთხოვთ, გვიამბოთ თქვენი მუშაობის შესახებ.**

— ვთარგმნი როგორც პოეზიას, ასევე პროზას. ესტონურ ენაზე ამეტყველდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, მუხრან მაჭავარიანის და სხვა ქართველი პოეტების ლექსები. ესტონელებმა მშობლიურ ენაზე გაიცვნეს კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, გიორგი შატბერაშვილის, თამაზ ჭილაძის, გურამ რჩეულიშვილის და რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებები. ახლახან გამომცემლობა „ეესტი რაამატის“ სტამბიდან ამოვიდა გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“.

**— ესტონელ მკითხველს რა ხიბლავს ქართულ მწერლობაში?**

— უშუალობა, ემოციური, ლაღი თხრობა, საუცხოო ლიტერატურული პასაჟები, ამაღლებული გრძნობების პოეზია. ესტონელები გულიანად იცინიან ნოდარ დუმბაძის ზურიკელასა და სოსოიას ოინებზე; წიგნის 24-ათასიანმა ტირაჟმაც ვერ დააკმაყოფილა მკითხველთა მოთხოვნილება. თამაზ ჭილა-

ჟის „თეთრი კვამლი“ 18 ათასი ტირაჟით გამოვიდა, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ მაღაზიაში მე თვითონ ვერ მივუსწარი საყიდლად. ესტონელები მოხიბლულია რევაზ ინანიშვილის ხალასი ფანტაზიით და ღრმად გრძნობენ გალაკტიონ ტაბიძის ლირიკას. კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენას“ ათასწლოვანმა ლეგენდამ მათ თვალწინ გააცოცხლა საქართველოს უძველესი და ძლიერი კულტურა, როდესაც ქართველი ხალხის რიგითმა შვილმა არსაკიძემ გონების ტრიუმფს მიაღწია — შექმნა სვეტიცხოველი. „დიდოსტატის მარჯვენა“ ესტონეთშიც აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ რომანად.

**— გაზეთებიდან ვიგებთ, რომ ესტონეთის თეატრების სცენაზე უჩვენებენ თქვენს მიერ თარგმნილ ქართველ დრამატურგთა პიესებსაც. პირადად რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— დიახ, ქალაქ რაკვერეში წარმატებით იდგმება გიორგი ხუხაშვილის პიესა „მიწა და ცა“; ტალინში — ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდი“ და ნანა ხატისკაცის „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო ტარტუს სახელგანთქმულ თეატრ „ვანემოინეში“ ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდებოდეს“.

**— გიფიქრიათ თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე?**

— ეს ჩემი ოცნებაა, რომლის ახდენას დიდი დრო დასჭირდება. მჯერა, რომ ესტონური ენის კოლორიტი აითვისებს რუსთაველის მაღალ პოეზიას და ღრმა სიბრძნეს.

**— თქვენი აზრით, როგორია ქართული და ესტონური ლიტერატურის ურთიერთობის პერსპექტივები?**

— მინდა გითხრათ, რომ ესტონეთში ქართული ლიტერატურისადმი დიდმა ინტერესმა განაპირობა მისი შეუზღუდავი თარგმნა. უახლოეს მომავალში „მსოფლიო პოეტების“ ციკლის მიხედვით ლორკას, აპოლინერის, ელუარის შემდეგ გამოვა გალაკტიონ ტაბიძე. აგრეთვე, უნდა ვთარგმნო ვაჟა-ფშაველას პოემები და ტიციან ტაბიძის რჩეული ლექსები. ქართველი პროზაიკოსებიდან ესტონელები წაიკითხავენ მიხეილ ჯავახიშვილს. განვაგრძობ რჩეულიშვილის, ინანიშვილის, იოსელიანის და სხვათა თარგმნას. ჩემს ყურადღებას იპყრობს ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“.

საგულისხმოა, რომ ქართულ ენაზეც დაიწყო ესტონური ლიტერატურის თარგმნა. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო ქართველი კოლეგებისაგან ესტონელი მწერლის ენ ვეტემაას რომანის „პილიმეესის“ და პოეტების — პაულ-ეერიკ რუმოს, იან კაპლინსკის, რუდოლფ რიმელის და სხვათა პოეზიის ღრმააზროვანი გაგება, რაც თვალნათლივ ადასტურებს საქართველოში ესტონელი მწერლებისადმი ინტერესს. ქართველი და ესტონელი ხალხის სულიერი სამყაროს ურთიერთ გაცნობა კიდევ უფრო დაგვაახლოებს და დაგვამეგობრებს ერთმანეთთან.

**საუბარი ჩაიწერა**
**მარიკა სილაგაძემ**

ყავის შესახებ

# ისე მიირთვით, რომ შეგერგოთ!


ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ბოსტონის სამედიცინო ცენტრის (აშშ) მიერ გამოქვეყნებული მასალებისა და ინგლისურ ჟურნალ „ლანეტში“ მოთავსებული სტატიების მიხედვით ვიმსჯელებთ, ყავა შეიცავს ისეთ საშიშ რაღაცას, რაც იწვევს გულის შეტევებსა და მიოკარდის ინფარქტსაც კი.

მართლა ასეა? ნუთუ ხელი უნდა ავიღოთ ამ პოპულარულ სასმელზე? იგი უყვართ და სიამოვნებით მიირთმევენ ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, შვეციაში, ფინეთში, ისლანდიაში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 11-12 კილოგრამი ყავა წელიწადში. ჩვენს ქვეყანაში ეს ციფრები არც ისე დიდია, მაგრამ ცნობილია, რომ ყავის მოხმარება უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში 40-ჯერ გაიზარდა.

გავიხსენოთ ისტორია: აი, უკვე ნახევარი ათასწლეულია ადამიანები მიირთმევენ ამ არომატულ და გემრიელ სასმელს და ჯეროვნადაც აფასებენ მის მატონიზირებელ თვისებებს. ამ თვისებებს კი კოფეინი იწვევს, რომელსაც ყავის მარცვლები შეიცავენ. კოფეინის მცირე რაოდენობაც კი აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ხსნის დაღლილობას და უძილობას, ამაღლებს გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას, მაგრამ მისი ჭარბად მიღება თრგუნავს და შესაძლოა გამოფიტოს კიდეც ნერვული უჯრედები. კოფეინი ასევე ცუდად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციაზე.

ქიმიურად კოფეინი ალკალოიდია. ყავა შეიცავს აგრეთვე სხვა ალკალოიდს — ტრიგონელინსაც. მარცვლების მოხალვისას ეს ალკალოიდი იშლება, წარმოიქმნება ანტიპელაგრული ვიტამინი PP. აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, სადაც ბევრ ყავას ხმარობენ, პელაგრა თითქმის უცნობია.

საკითხი — ვსვათ თუ არა ყავა, დღეს მაინცდამაინც მწვავედ არ დგას. საქმე სხვაა — საჭიროა ვიცოდეთ, ვინ უნდა სვას ყავა და რამდენი.

ხანშიშესულებისათვის, რომლებიც უჩივიან უძილობას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებას, აგრეთვე ბავშვებისათვის ნატურალური ყავა მავნებელია, მაგრამ ახალგაზრდები და ჯანმრთელნიც უნდა ერიდონ ყავის უზომოდ მიღებას.

ცნობილია, რომ კოფეინი იხმარება, როგორც სამკურნალო საშუალება, მისი საშუალო ერთჯერადი დოზა, რომელსაც ექიმები უნიშნავენ მოზრდილ ადამიანებს, მერყეობს 0,05-0,01 გრამს შორის. კოფეინის ამდენსავე რაოდენობას შეიცავს ერთი ფინჯანი ყავა. მაგრამ სამ ფინჯანში კოფეინის რაოდენობა მაქსიმალურ დოზას აჭარბებს!

სულ სხვა მდგომარეობაა ხსნადი ყავის მიღებისას, რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა ჩვენში. ეს კონცენტრატი ჩვეულებრივ დაფქვილ ყავასთან შედარებით, ბევრად მეტ კოფეინს შეიცავს. ეს არ იცის ამ არომატული სასმელის ზოგიერთმა მოყვარულმა და ფინჯანში ყრის ორ-სამ კოვზ ფხვნილს, ანდა ერთ დალევაზე ორ ფინჯან ყავას სვამს. ეს, რა თქმა უნდა, მავნებელია.

ამრიგად, საერთო დასკვნა ასეთია: ხანშიშესულებმა და ავადმყოფებმა უნდა მიირთვან მხოლოდ ყავიანი სასმელები, ჯანმრთელ ყავის მოყვარულებს კი, რომლებიც მას ზომიერად სვამენ, ვუსურვოთ — დალიეთ, ღმერთმა შეგარგოთ!

**ჟურნალ „ზდოროვიედან“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭრელ-ჭრელი ამბები

### ამორძალების ნაკვალევზე

არქეოლოგიურმა და ანტროპოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ამერიკელი მეცნიერი ჯინ სევოია ხელმძღვანელობდა, მდინარე ამაზონის შუა ნაწილთან აღმოაჩინა ძველი საცხოვრებლების ნაშთები, მათში კი — პრიმიტიული ფრესკები, რომლებზეც გამოსახული იყვნენ მებრძოლი ქალები.

ეს აღმოჩენა ადასტურებს XVI საუკუნის ესპანელების ნაამბობს სამხრეთ ამერიკის შესახებ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ საკუთარი თვალით უნახავთ იქ მშვილდ-ისრით შეიარაღებული ქერათმიანი შიშველი ქალები, რომლებიც მამაკაცებზე უკეთ იბრძოდნენ.

მაგრამ მათზე ადრე ამორძალების შესახებ ბერძნული მითოლოგია მოგვითხრობს. ამ მითების თანახმად, ამორძალები შავი ზღვის პირას ცხოვრობდნენ. ამჟამად კი მათ ნაკვალევს მეორე ნახევარსფეროშიც პოულობენ. საიდან შეიტყეს მათ შესახებ ბერძნებმა? იქნებ, ადრე მსოფლიოში ქალების რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა? ამ კითხვაზე ჯერჯერობით არავის არ უპასუხია.

# ფიქრი

## რატომ არ იშოვება მათლაფა?

თქვენი ჟურნალის აპრილის ნომერში დაბეჭდილია რეპორტაჟი თბილისის კერამიკული კომბინატის შესახებ, სადაც ლაპარაკია მისი კოლექტივის მიღწევებზე. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო ამბავია, მაგრამ მარტო დოქები და სუვენირები გვეყოფა? მარტო ღვინო და წყალი ვსვათ? საჭმელი რაზედა მივირთვათ? რომ გადაატრიალო თბილისი ან სხვა ქალაქები და რაიონები, ერთ მათლაფას ვერ იშოვნის კაცი. და თუ გამოჩნდა სადმე ღვთის წყალობით, ისეთი რიგი და თავპირის მტვრევა ატყდება, რომ ახლოს ვერ გაეკარები.

ისევ ერთ ბადიას თუ დავიდგამთ საზიაროდ წინ მთელი ოჯახი და ჩვენ-ჩვენი კოვზებით შეიარაღებულები შევხვრეპთ წვნიანს. კიდევ კარგი, კოვზები ბლომად იშოვნება.

გთხოვთ, პატივცემულო რედაქციავ, შეისმინოთ ჩვენი თხოვნა, შეაწუხეთ ვინც საჭიროა, რომ ამ თეფშების საკითხის გადაწყვეტას დაადგეს საშველი. დამერწმუნეთ, ყველა დიასახლისს ამით ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევთ. თორემ ჯერჯერობით ისეა ჩვენი საქმე, რომ მგონი თეფშის გატეხვას თავის გატეხა გვირჩევნია.

ევა მეზვრიშვილი,
დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის ვეტფერშალი.

### 20.000 წლის შემდეგ

გეოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბრიტანეთის კუნძულები იძირება. ინგლისისა და ირლანდიის სამხრეთი სანაპირო თანდათან ეშვება ზღვაში. საშიში ჯერჯერობით არაფერია — წელიწადში ეს კუნძულები 1 — 1,5 მმ-ით იძირებიან. მაგრამ 20 ათასი წლის წინ ინგლისი და ირლანდია ევროპის კონტინენტის ნაწილი იყო. რა მოხდება 20 ათასი წლის შემდეგ?

### ყველაზე უსაფრთხო

სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ თვითმფრინავი კომუნიკაციის ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა 1972 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა სახის უბედურ შემთხვევებში დაიღუპა 115 ათასი კაცი, ამათგან 55.025 — საავტომობილო კატასტროფაში. თვითმფრინავების კატასტროფაში კი — მხოლოდ 200 ადამიანი.

### გოლიათი ახალშობილი

მილანში, კლინიკა „ოთხ მარიაში", 30 წლის კარმელა დ აორიამ გააჩინა ბავშვი, რომელიც 6 კგ და 50 გრ იწონის. ახალშობილის მამა 30 წლისაა, ხელობით დურგალი. ბავშვი კარგად გრძნობს თავს. იგივე ითქმის დედაზეც. მშობიარე ოდნავ დაღლილობას გრძნობს, მეტი არაფერი. ასეთივე გოლიათები იყვნენ მისი პირველი შვილებიც ერთი — 5 კგ, მეორე — 5 კგ და 500 გრ, მესამემ კი ყველას გადააჭარბა, მშობლებიც დიდები არიან. დედა — 170 სმ, მამა — 180 სმ.

### „ქორწინება და განქორწინება იტალიურად"

43 წლის მუშამ ჯუზეპე ბენედეტომ, როგორც იქნა გადალახა იტალიაში არსებული „ქორწინებისა და განქორწინების მტკიცე კანონის ზღუდე და 22 წლის შემდეგ ნებართვა მიიღო ოფიციალურად გაეფორმებინა თავისი ცოლ-ქმრული კავშირი 42 წლის რაფაელა მურგოსთან, რომელთანაც ცხოვრების 22 წლის მანძილზე 13 შვილი ჰყავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან მხოლოდ და მხოლოდ შვილების წყალობით მოახერხა დაერღვია ეს კანონი. საქმე იმაშია, რომ 22 წლის წინათ ახალგაზრდა ჯუზეპე სხვა ქალზე დაქორწინდა, მაგრამ მასთან ძალიან ცოტახანს იცხოვრა. შემდეგ კი თავისი ბედი რაფაელა მურგოს დაუკავშირა.

წლების მანძილზე დავიდარაბის, ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებისა და ტურინსა და ფოჯიას შორის გაუთავებელი მიმოსვლის შემდეგ, როგორც იქნა, საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. ჯუზეპემ ერთდროულად მიიღო განქორწინების და დაქორწინების ნება.

და აი, ტურინის გარეუბანში, ახლადშეუღლებულებმა ზეიმით აღნიშნეს თავის ქორწინება, რომელსაც მათი 13 შვილი, აუარებელი შვილიშვილები, ნათესავები და მეგობრები ესწრებოდნენ.

# რამდენიმე კულინარული რჩევა

ზოგ დიასახლისს ჰგონია, ნამცხვარის გამოსაცხობად რეცეპტში მითითებული ნორმების ზუსტი დაცვაა მხოლოდ საკმარისი. რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. თუ ნორმების სიზუსტეს აუცილებელი წესების ცოდნა არ ახლავს თან, ნამცხვარი კარგი არ გამოვა.

აი ზოგიერთი ეს წესი:

კვერცხი გატეხეთ ფრთხილად, ისე რომ. გული მთლიანი დარჩეს და ცილას არ შეერიოს, თორემ ცილა აღარ აითქვიფება.

ცილა ათქვიფეთ სუფთა, მშრალ ფაიფურის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. ჭურჭელს ცხიმის ნიშანწყალიც არ უნდა ჰქონდეს. ნუ იხმართ ალუმინის ჭურჭელს, თორემ ცილა გაგიშავდებათ.

ცილა უნდა თქვიფოთ შეუჩერებლად, ჯერ ნელა, მერე კი ჩქარი ტემპით. ათქვეფილი ცილა ცომს ან კრემს კოვზით ფრთხილად თუ არ შეურიეთ, ცილა „დავარდება" და ნამცხვარი მძიმე, გულგამოუშუშებელი გამოვა.

მოსარევად იხმარეთ ხის კოვზი.

კვერცხები სათითაოდ გატეხეთ; ჭურჭელზე უცბად ნუ დაასხამთ და მთლიან მასას მხოლოდ მაშინ შეურიეთ, როცა დარწმუნდებით, რომ ლაყე არ არის.

ჰაერღუმელი ზომიერად უნდა იყოს გახურებული. ცხობის პროცესში ჰაერღუმელის კარი ფრთხილად უნდა მიხუროთ, თუნუქის ფურცელიც არ უნდა შეინჯღრეს, თორემ ნამცხვარი „დავარდება".

ვიდრე არ შეგრილდება, მზა ნამცხვარს ფორმიდან ან თუნუქის ფურცლიდან ნუ ამოიღებთ.

ნამცხვარის ხარისხი წონით მოწმდება: რაც უფრო მსუბუქია, მით უფრო კარგი გამომცხვარია.

თუ ნამცხვრის რეცეპტში თაფლი ან კარაქი შედის, მაგრამ არ არის მითითებული, რომ ისინი უნდა აითქვიფოს, მაშინ ცომში ჩამატებამდე ეს პროდუქტები უნდა გაალღვოთ /თუ თაფლი ჩაშაქრულია/ და შემდეგ ოთახის ტემპერატურამდე უნდა შეავრილოთ.

ცხელ ნამცხვარს ცივ ვაჟინს /სიროფს/ ასხამენ, ხოლო შეგრილებულს — ცხელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიზო ზარნაძე

# ბეიტა გატონიტო

(იუმორისტული მოთხრობა)

კინოგადაღებიდან ახლად დაბრუნებულ მსახიობს — ერლომ ლომინაშვილს მაგიდაზე მეუღლის ბარათი დახვდა: „ჩემო კუსიკ! ყოველივე ავწონ-დავწონე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ „უხათაბალო გამოცდაში“ შენ და სოფიკო ერთმანეთს ნამდვილად კი არ კოცნით, არამედ ის მოჩვენებითი, იმიტაციური ამბორია. მესამე დღეა დავბრუნდი. მაპატიე, თუ შეგიძლია. გავიგე სამზე ჩამოდიხარ. მე ამ დროს სამსახურში ვიქნები. ხომ იცი ჩვენი დირექტორის პოხონდრიები. ამიტომ ვერ დაგხვდები.

ჩაირბინე დახურულ ბაზარში, კუსიკ, ცოტაოდენი ჯონჯოლი და ნახევარი კილო ძროხის ღვიძლი იყიდე. დაუკვირდი, მაშინდელივით ტყირპი არ შემოგაჩეჩონ. ელიჩკა“.

ტროლეიბუსში ჭგლეთაა. ერლომი ცალი ხელით სახელურს ჩასჭიდებია, მეორეში ნაქსოვი ხელჩანთა უჭირავს. ქსოვილიდან წითელი ბოლოკის თავები იჭყიტება. გაზეთში უგერგულოდ შეხვეული ჯონჯოლი ჟონავს. წვეთები თბილისურ მოკასინებზე ეცემა ერლომს და ულაქავებს.

გვერდით ჩალისფერთმიანი და ანწლისფრად ტუჩებშეღებილი ქალიშვილი უდგას ერლომს. ქალიშვილი გაკვირვებით შესჩერებია, თვალებს წკურავს, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ მერე ჩანთაზე გადააქვს მზერა და მოტიტვლებულ მხრებს იჩეჩავს.

ერლომმა შენიშნა ეს და უხერხულობისაგან შეიმშუშნა. აბეზარი, დაჟინებული მზერა კი ისევ გაგრძელდა. ბოლოს შარვლის საკინძეს ჩააყოლა ქურდულად თვალი. „საკინძე წესრიგშია. ვითომ სამუხლეები რომაა ამობურცული, ეს რევს? ცოტას შევიცდი კიდევ და, თუ არ მოეშვება თვალების წკურვას, რაღაცას ვეტყვი“.

უეცრად ქალიშვილის წინ ადგილი განთავისუფლდა და ერლომს გულზე მოეშვა, — დაჯდება და წკუროს თვალი რამდენიც უნდაო, მაგრამ ქალიშვილი არც შერხეულა. პირიქით, უფრო მოხერხებული ადგილი შეირჩია და ახლა ისე დეტალურად დაუწყო ერლომს ზვერვა, რომ მგზავრებმაც შენიშნეს.

„ნაცნობი არაა, ნათესავიც არა მგონია. რა უნდა, აბა, ამ მატრაკვეცას ჩემი ხნის კაცისაგან“. — შეწუხდა მსახიობი და ლამის ზურგი შეაქცია, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩაესმა ქალიშვილის მიერ ნათქვამი რაღაც გაურკვეველი სიტყვა და უმალვე გუმანით მიხვდა, რომ მისი მისამართით ითქვა:

— ნევერაიატნო!

— მე მითხარით რამე? — ნავსი გატეხა ერლომმა.

— იცით, ძალიან ჰგევხართ ერთ კინომსახიობს. რა გვარი ხართ?

„აი თურმე რა! ფილმებიდან ვხსომებივარ და რას ერჩი! ვუთხრა ვითომ, რომ კი არ ვგავარ, მე თვითონა ვარ ის კინომსახიობი? აჰ! დამიწყებს ალთას, ბალთას, ეს მითხარითო, ის მითხარითო. იქნებ ისიც აქვს ყურმოკრული, ელიჩკამ რომ დროებით მიმატოვა... არა, არა ვარ მე ლომინაშვილი, რა ვქნა ახლა, თუ ვგავარ!“

— წიწილაშვილი, — იცრუა ერლომმა.

— ასეც ვიცოდი! — ისე დამარწმუნებლად თქვა ანწლისფრად შეღებილმა ტუჩებმა, თითქოს ამ კაცს არაფრით არ ჰქონდა უფლება, სხვა გვარისა ყოფილიყო.

ახლა უკვე იოლად შენიშნა ქალიშვილმა თავისუფალი ადგილი, კიდევ ერთხელ შეავლო უინტერესოდ თვალი ერლომს და დაჯდა.

— რას გაჩხერილხართ ამ შუა ტროლეიბუსში! — უთხრა ვიღაც ფაშფაშა მანდილოსანმა ერლომს და იდაყვში წაატანა ხელი, — ან გაიარეთ, ან ეგ ჩანთა მოაშორეთ აქედან. ვერ ხედავთ, წვეთავს?

შემცბარმა ერლომმა ნაბიჯი წადგა, მაგრამ ისევ შეჩერდა და ახლა თვითონ გადახედა ქურდულად ჩალისფერთმიან ქალიშვილს, რომელიც ფანჯრისაკენ შებრუნებულიყო და ცდილობდა, არც ერთი მსუბუქი მანქანა არ გამოეტოვებინა, სალონში რომ არ შეეჭყიტა.

ახლა უკვე ერლომი აწრიალდა. თვითონაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ქალიშვილის „ასეც ვიცოდიმ“ ძალიან ატკინა გული. ატყობდა, რომ ნელ-ნელა ბრაზდებოდა, მაგრამ ვისზე ან რაზე, ვერ მიმხვდარიყო.

გოჯი-გოჯ უკან იჩოჩა და იმდენს ეცადა, სანამ ცნობისმოყვარე ქალიშვილს თავზე არ დაადგა. ქალიშვილმა გაკვირვებით ამოხედა.

— მაინც რომელ კინომსახიობს ვგავარ? — ხმადაბლა ჰკითხა ერლომმა და უმალვე იგრძნო, რომ წინ გავლა ჯობდა.

— არის ერთი, ერლომ ლომინაშვილი, — წამით მოხედა ქალიშვილმა და ისევ გაიჭყიტა ფანჯარაში.

— ააა.

— რა, გაგიგონიათ?

— ლომინაშვილი როგორ არ გამიგონია! — ისევ ხმადაბლა მიუგო ერლომმა და მგზავრებს მოავლო თვალი, ხომ არ მისმენენო.

— დადიხართ კინოში? — გამოცოცხლდა ქალიშვილი.

— ხშირად.

— იშვიათი შემთხვევაა!

— რატომ არის იშვიათი შემთხვევა?

— თქვენი ასაკის მამაკაცები ტელევიზორს ამჯობინებენ.

ვერ ვიტყვით, რომ ამის გაგონებაზე გუ-

ლი ჩაწყდომოდეს, მაგრამ ქალიშვილს უტიფარი ტონი ჰქონდა და წყენით მაინც ეწყინა.

— თქვენ თუ იცნობთ ლომინაშვილს? — ჰკითხა მოულოდნელად ერლომმა და „ბორჯომის“ წყალმა რომ ბუშტულები იცის, ისე დაეხორკლა ზურგის კანი.

— როგორ გითხრათ... პირადად არა, ისე კი ყველაფერი ვიცი მასზე.

— საინტერესოა, — თქვა ერლომმა და ხელი შეინაცვლა. ახლა ჯონჯოლის წვენმა მარცხენა ფეხსაცმელზე გადაინაცვლა.

— რა არის საინტერესო? — ჩაეკითხა ქალიშვილი.

— ერლომი ჩემი დეიდაშვილია.

— ჰოო? — თვალები გაუბრწყინდა ჩალისფერთმიანს და წამსვე წამოდგა, — აკი გითხარით, ჰგევხართ-მეთქი!

— დეიდაშვილია, — გაიმეორა ერლომმა და წამოწითლდა, რადგან ეს უკვე მეორედ იცრუა.

— იცით, რა უნდა გკითხოთ?

— ბრძანეთ.

— მართალია, რომ ის „ბედნიაგა“ ორ ალიმენტს იხდის?

მეხი გავარდა და ერლომს ლამის დააპლოკინა.

— რომელ ორ ალიმენტს? — ვაბუძვა ტანში.

— მაგას ხომ მესამე ცოლი ჰყავს?

ქალიშვილი ხმამაღლა ლაპარაკობდა და უნებურად იქცევდა მგზავრების ყურადღებას, რისგანაც ერლომს ელეთ-მელეთი მოსდიოდა.

— პირველად მესმის, — ჩურჩულით მიუგო ერლომმა და მიხვდა, რომ აუცილებელი იყო დროის შერჩევა, მობოდიშება და რომელიმე გაჩერებაზე ჩასვლა.

— თქვენ რას მალავთ, როცა მთელმა ქალაქმა იცის!

„ჰოდა, კი ვყოფილვარ „პოპულარული“, — გაიფიქრა ერლომმა და სახეზე ირონიული ღიმილი მოერია.

— ჰო, მაგ მხრივ უბედური კაცია, — კიდევ უფრო დაუწია ხმას ერლომმა.

— რა ბრძანეთ?

— უბედურია-მეთქი მაგ მხრივ! — ახლა ხმამაღლა გაუმეორა და ისევ შეინაცვლა ხელი.

— თქვენ სად მუშაობთ?

„აკი ვთქვი, მიეთ-მოეთს მოჰყვება-მეთქი! მიდი ახლა და ჩაუყაჰე: სად მუშაობ, ჯამაგირს რამდენს გაძლევენ, მეტროთი უფრო გიყვართ მგზავრობა თუ ტროლეიბუსით“.

— მე? — დაიხარა და ფანჯარას გახედა, — უკაცრავად, მაგრამ იქნებ გამატაროთ, შემდეგზე ჩავდივარ.

— როგორ, თქვენც „ვერეზე“ ცხოვრობთ?

— დიახ,— ნაძალადევად გაუღიმა ერლომმა.

— რა კარგია! მეც შემდეგზე ჩავდივარ. რაღა გზა იყო! დარჩენილი ორმოცდაათი კაპიკიდან, ჩასვლისას რვა კაპიკი საბილეთე სალაროში ჩაყარა და, როდესაც ტროტუარს გაუყვნენ, საკმაო მანძილით დაიშორიშორა ქალიშვილი, რადგან ცოტაც და, იმ შენობას გაუსწორდებოდნენ, რომელშიც მისი ელიჩკა მსახურობდა.

— ჰოდა, თქვენ სად მუშაობთ — „დაკითხვა“ განაგრძო ქალიშვილმა.

„რა ჯანდაბა მოვიგონო ახლა, თქმისთანავე რომ შემეშვას ეს უპატრონო!“

— მე... მე ცეცხლფარეში ვარ აბანოში, — თქვა ერლომმა გარკვევით და ლამის გაეცინა.

ჩალისფერთმიანისთვის ესეც მოსალოდნელი ამბავი აღმოჩნდა და, სხვათა შორის, ინერციით ჰკითხა:

— გეხმარებათ რამეს ერლომი? თუ „სკრიაგა“ ტიპია?

ღიმილმა გადაურბინა საულვაშეზე.

— რას დამეხმარება სამი წყება ცოლშვილის პატრონი!

— ოჰ, ოჰ! თორემ არა აქვს, აი, მარტო „უხათაბალოში“ 5.000 აიღო.

ერლომმა ამოღენა თანხის ხსენებაზე პირი დააღო და ნერწყვმორეულს, გულმა საამოდ უწყო ჩქროლა. მერე მეხსიერება დაძაბა, გონებაში მიკრიბ-მოკრიბა რაც სამსახიობო სარბიელზე ჰონორარი აეღო, მაგრამ სახელდახელოდ გამოყვანილი ჯამი 5.000-ზე ბევრად ნაკლები გამოდგა.

ახლა ისიც გაახსენდა, ნახევარკილო ღვიძლში როგორ გადააშვლეპინეს მანეთნახევარი და უკანასკნელი ორი მანეთიდან ორმოცდაორი კაპიკიღა დარჩა.

— ჰო, ცოტა კია ხელმოჭერილი.

— დიდი უნამუსო ვინმეა ის თქვენი დეიდაშვილი! — „უთანაგრძნო“ ქალიშვილმა, — საყვარლებს ძაან ევლება თავს!

ერლომი მოგონებას მიეცა. იგონა, იგონა და აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაში კი არა, ფილმშიც არასოდეს ჰყოლია საყვარელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფიკოს, რომელსაც იმიტაციურად ეამბორა.

— ჰო, ცოტა კი უყვარს ქალებში ნავარდი, — დაუმატა ბოლოს.

— ჰიჰ, ცოტა! — ისეთი ირონიით თქვა ქალიშვილმა, თითქოს ისიც ერლომის საყვარელი ყოფილიყოს.

— თქვენ თქვით, რომ სისტემატურად დადიხართ კინოში, — განაგრძო ქალიშვილმა, — თქვენი გემოვნებით, ვის უფრო მოხდენილი „პრიჩოსკა“ აქვს, ელიზაბეტ ტეილორს თუ ბეიკა მაკონიკოს?

— ტეილორსა და ვის?

— ღმერთო ჩემო! — ბ-ე-ი-კ-ა მ-ა-კ-ო-ნ-ი-კ-ო-ს.

ერლომს უნახავს ტეილორიც, მაზინაც, ბარდოც, ლორენიც, ალაჰმა უწყის, კიდევ ვინ, მაგრამ ეს მაკონიკო ვინღაა?!

— პირველად მესმის, — უპასუხა გაოგნებულმა.

— არ დაგეძრახებათ, მაგრამ კინო თუ გიყვართ, ჟურნალ-გაზეთებიც უნდა იკითხოთ.

— სწორი ბრძანებაა, — დაეთანხმა ერლომი.

ქალიშვილმა ნაბიჯს უკლო, სადარბაზო შესასვლელთან შეჩერდა.

— იცით, რახან თქვენ ერლომის დეიდაშვილი ბრძანდებით, უნდა გითხრათ: მიხედეთ მის მეუღლეს, ნამეტანს სჩადის. იმ დღესაც ტაქსის შოფერთან ვნახე ვალეწილი.

აქ უკვე მოთმინების ფიალა აევსო ერლომს, სისხლი ყელში მოაწვა და ჩალისფერთმიანს ავისმომასწავებლად შეუბღვირა:

— მე ერლომ ლომინაშვილი ვარ და კაქრი ახლა აქედან!

ქალიშვილმა ჯერ თითქოს შეიცხადა, პირდაღებული შეაჩერდა, მერე აკისკისდა:

— ჰა-ჰა-ჰა, ერლომ ლომინაშვილი! ოჰო-ჰო, ცნობილი კინომსახიობი! არ მომკალით სიცილით! — თან ცალი ხელით ჩანთაზე ანიშნებდა, საიდანაც წითელი ბოლოკის თავები საცოდავად იჭყიტებოდა და ჯონჯოლის წვენი რიტმულად წვეთავდა.

— ეგ ზღაპარი მექისეებს მოუყევით აბანოში! — უკვე სადარბაზოდან მოესმა ჩალისფერთმიანის ხითხითი.

გარეკანზე — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“. ფოტო ა. რუხაძისა; მეოთხე გვერდზე — დეკორატიული კომპოზიცია — „ახტალა“. მოქანდაკე ჯ. თუშურაშვილი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 21/XI-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/I-75 წ. ქაღალდის ზომა 60×90$^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 119070 შეკვ. 4202 უე 01706 ფასი 30 კაპ.

# „სალამი ცხრათვალა მზეს!"

დიდია ძალა სიმღერისა.

უფრო მეტად ბავშვის სიმღერისა!

ამ ძალამ მოუხვეჭა სახელი და აღიარება თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „მზიურს", მის პატარა სოლისტებს. რა სითბო, რა ხავერდი, რა ალერსია ჩაქსოვილი მათ ხმებში, მათ სიმღერაში, მათ საოცრად მომხიბვლელ „იავნანაში"...

დიახ, დიდია ძალა სიმღერისა. მან პოპულარობა მოუტანა მანამდე ჩვენთვის უცნობ გოგონებს: მაია ჯაბუას, ლია ხორბალაძეს, მაია ჩიქვინიძეს, მაია სირაძეს, თამრიკო ქოხონელიძეს, თამრიკო ხორავას, თამრიკო ფირცხალავას, ხათუნა დონდუას, თამუნი გვერდწითელს, მარინე მასხულიას და მათ მეგობრებს, „მზიურის" სოლისტებს, ორკესტრანტებს... ანსამბლს კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც. მათ სახელი სატელევიზიო ფილმმა — „მოვდივართ და მოვიმღერითმაც" მოუტანა.

ამ ფილმიდან პატარა თამრიკო ფირცხალავამ თავისი თავი და მეგობრები ასე გაგვაცნო: ჩვენ ყველა ვმღერით, ვუკრავთ და ვცეკვავთ.

ეს მართლაც ასეა.

მაია ჯაბუა მღერის, უკრავს ფლეიტაზე და ცეკვავს. ქეთინო დეკანოზიშვილს შესანიშნავი მეორე ხმა აქვს და ფლეიტაზე უკრავს, თამუნი გვერდწითელი დიდად მუსიკალური ბავშვია. მარინე მასხულია ბას-გიტარაზე უკრავს და მღერის. ნანა სანებლიძე ფორტეპიანოზე უკრავს და ხალხურ სიმღერებს ასრულებს. მაია სირაძე საქსოფონზე და გიტარაზე უკრავს, ხშირად ცვლის ხორბალაძეს, იმ ლია ხორბალაძეს, რომელიც მთელი კონცერტის მსვლელობაში უკრავს და გვიღიმის, როცა ცეკვავს, მაშინაც გვიღიმის, მღერის — გვიღიმის. ამ უშუალო გოგონას ყველას შეგვაყვარა თავი.

ანსამბლის ხელმძღვანელი გურამ ჯაიანი სიხარულით გველაპარაკება გოგონების ნიჭიერებაზე: — მაია ჯაბუა ბუნებამ დააჯილდოვა შესანიშნავი ხმით. აქ, ჩვენთან იპოვა ბავშვმა თავისი თავი, აქ გაიფურჩქნა მისი მუსიკალური ნიჭი. მის სიმღერას ყოველთვის რაღაც ახალი ნიუანსი სდევს. იგი სცენაზე საოცრად ბუნებრივია, ეს კი საესტრადო ხელოვნებაში ბედნიერებაა.

ლია ხორბალაძის ნიჭს დიდი შრომისმოყვარეობაც ახლავს თან.

თამრიკო ქოხონელიძე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომღერლადაა დაბადებული.

თამრიკო გვერდწითელი გარეგნულად ნაზი, პოეტური გოგონაა, რაც სავსებით შეესაბამება მის მუსიკალურ ბუნებას.

ერთ-ერთი კონცერტის დროს ასეთი საინტერესო ფაქტი მოხდა: დარბაზში, მამასთან ერთად იჯდა პატარა წითელბაფთიანი გოგონა. უეცრად მან საშინლად მოიწყინა, ანტრაქტის დროს კი ატირდა კიდეც მამას უსაყვედურა: რატომ შემიყვანეთ საფორტეპიანო კლასში, ამ გოგონებთან ყოფნა არ სჯობდაო. მერე ბავშვმა დაიჩემა, მეც მინდა „მზიურშიო", მამა აიძულა მისულიყო პიონერთა სასახლეში და ეთხოვა ანსამბლის ხელმძღვანელობისათვის მიეღოთ ბავშვი ამ დროისათვის იქ 18 გოგონა მეცადინეობდა. დამატება აღარ შეეძლოთ. მხოლოდ ერთადერთი შესაძლებლობა იყო — იქნებ გოგონას საყვირზე დაკვრა შეესწავლა?

ბავშვი მთელი ზაფხული თბილისში დარჩა და მეცადინეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგთან — დოცენტ ლეონიდ შკუროვიჩთან. სექტემბერში იგი მამასთან ერთად სასახლეში გამოცხადდა. მას მოუსმინა სპეციალურმა მუსიკალურმა საბჭომ. 9 წლის გოგონა მშვენივრად დაუფლებოდა ახალ მუსიკალურ ინსტრუმენტს და სამი ნომერიც შეესწავლა. ასე მოვიდა ანსამბლში მეცხრამეტე ბავშვი — ია ახობაძე, და შემდეგ დაემატა კიდევ მეორე, ვიოლინოზე შესანიშნავი შემსრულებელი ლენა ცარციძე.

ალბათ, გაინტერესებთ როგორია მზიურელების წარმატება სკოლაში:

ვინც არ ისწავლის მას „მზიურში" არ გავაჩერებთო. — ასეთია ხელმძღვანელების გადაწყვეტილება და ბავშვებიც სწავლობენ მთელი მონდომებით, გულისყურით. ანსამბლის მეცადინეობა კვირაში ორჯერაა. გასტროლები ძირითადად ისეთ დროსაა შერჩეული, როცა სკოლაში არდადეგებია. ამიტომ ბავშვები თავისუფლად ასწრებენ კარგად სწავლას და ანსამბლში მეცადინეობას.

ბავშვთა ანსამბლის შექმნა საშვილიშვილო საქმეა. მივესალმებით თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ამ შესანიშნავ ჩანაფიქრს, რომელიც სამი წლის წინათ იღბლიანად დაგვირგვინდა. სასახლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა ნოდარ ჩხეიძემ, მუსიკალურმა ხელმძღვანელმა გურამ ბზვანელმა, პედაგოგებმა — ციცინო ციცქიშვილმა, ალექსანდრა ჯანელიძემ, რაფიელ კაზარიანმა, სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების ყოფილმა გამგემ ერნა თოდუამ, ნოდარ მდინარაძემ ქორეოგრაფიული და ვოკალური ჯგუფებიდან გააერთიანეს მუსიკალური ბავშვები და დაიწყეს მათთან სისტემატური მეცადინეობა დასარტყმელსა თუ ჩასაბერ საკრავებზე, ელექტროგიტარაზე, ქსილაფონზე და ფორტეპიანოზე.

ბავშვები უკვე დაოსტატდნენ, სცენაზე ბუნებრივად, ლაღად უჭირავთ თავი.

„მხოლოდ საბავშვო სიმღერები!"

ეს არის „მზიურის" დევიზი.

ახლა „მზიურის" მაგალითით, მისი მიბაძვით, ბევრი ბავშვი ეუფლება მუსიკას მომავალში ალბათ მომზადდებიან მათი შემცვლელები ასე რომ, მიმდევართა მთელი არმიაა „მზიურის" უკან

ასე იყო სპორტშიც. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, ჭადრაკის დედოფლის ნონა გაფრინდაშვილის მაგალითზე ბევრი ქართველი გოგონა დაეუფლა ჭადრაკს დღეისათვის ჭადრაკს სახელოვან ქალთა მთელი პლეადა ჰყავს.

* * *

საქართველოს გარდა „მზიური" გასტროლებს მართავს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარეთაც

ამ ორი თვის წინათ, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 57-ე წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად ნიდერლანდ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით ჰოლანდიაში საგასტროლოდ იმყოფებოდნენ ჩვენი სახელოვანი გოგონები. მათ 9 ქალაქში გამართეს კონცერტები და აღაფრთოვანეს ჰოლანდიელი მაყურებელი.

აი რას წერდა იმ დღეებში ჰოლანდიის პრესა:

გაზეთი „უითქრანთ ვოორამსტერდამსი" „ზღაპრული გოგონები მზიური ქვეყნიდან". „პატარა მუსიკოსები დიდებულად ფლობენ ყველა ინსტრუმენტზე დაკვრის ხელოვნებას. მერე როგორ მღერიან, გვაოცებს მათი უშუალობა, მუსიკალობა, იმპროვიზაცია.. ნამდვილი პროფესიონალები არიან"

გაზეთი „ალკმარშე კოურანდი": „დაუვიწყარი კონცერტი იყო. გოგონებმა პირველსავე განყოფილებაში დაიპყრეს მაყურებელი"...

ამსტერდამში საღამოს ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები, ხოლო ჰოლანდია-ამერიკის ტელეკომპანიის „ავროს" მესვეურებმა „მზიურის" კონცერტი მარტო ჰოლანდიის მაყურებელს კი არა, მთელი ევროპის მაყურებელს უჩვენეს.

* * *

ეს შესანიშნავი გოგონები დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმრები არიან, ახალ წელს გვილოცავენ, შემოგვაგებეს მომხიბვლელი სიმღერები, შემოგვაგებეს მზე, სიცოცხლე და მშვიდობა.

ჩვენც ვულოცავთ ახალ — 1975 წელს პატარა მზიურელებს და ვიმეორებთ: „უჩვენეთ ეს გოგონები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!"

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178

